



საქართველო  
საბჭოთაო

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სხვა თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელისმოწერა მიიღება: თფილისში—„წერაკითხვის გამავრცელებელი“ კანცელარიაში და „კვადის“ რედაქციაში, სხვა-განა—ქუჩაზე, № 35.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛИ“.

**შინაარსი:** მთავრობის გამოცხადება.—ზრუნის 200 წლის იუბილეს გამო, ასოთაშუაობისა.—კიდევ „ტინობის ფურცელს“, ვარიეტისა.—სხვადასხვა ამბები.—კარესზნდენციები.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ გარეთ.—გაზაფხული, ლექ. ი. კვდუშვილისა.—სამშობლოს ცაზე, რეკლამა.—ძიძა, მთ. ნ. ნაკაშიძისა.—საჭიროა თუ არა კვირა დღეს დასვენება, ასოთაშუაობისა.—მთავრობის განკარგულება.—დეპუტები.—წერილი რედაქციის მიმართ.

**რედაქციის საგან.**

მოვარგონებთ ჩვენ ხელისმომწერლებს, რომ, ვინც ამ თვეში გაზეთის ხვედრ ფულს არ შემოიტანს, მომავალი თვიდან გაზეთი აღარ გაეგზავნება.

**მთავრობის გამოცხადება.**

გაზეთ „კავკაზ“-ში მთავრობა აცხადებს შემდეგს:

27 აპრილს, დილის ათ საათზე, ქალაქის უმთავრეს ქუჩებზე თავი მოიყარა დიდძალმა მუშა ხალხმა, რიცხვით 1,000—1,200 კაცმა. პირველ ხანში მუშები შეუერთდნენ მოსეირნე ხალხს და უწყესობა არა ჩაუდინიათ-რა, ხოლო 12 საათზე უცბათ შეერთდნენ ას კაცამდე ერთ ჯგუფათ, გადავიდნენ გოლოვინის პროსპექტის შუაგულზე, სახაზინო თეატრის პირდაპირ, „ურა“-ს ძახილით ამართეს წითელი დროშა და მოინდომეს უმთავრეს ქუჩებში გავლა, მაგრამ მალე გაძლიერებული პოლიციის რაზმი და შეწოდებები გადაეღობნენ წინ და სიარულის ნება არ მისცეს. ამ დროს მოვიდა ცხენოსანი დარაჯებით პოლიციემესტერი, გაფანტა მანიფესტანტები და იქ, საცა გაქცეული ხალხი აპრობდა შეერთებულიყო დიდ ჯგუფათ, გზა შეკრა. 10 წუთის შემდეგ ქუჩებზე წესიერება უკვე აღდგენილი იყო. უწყესობის დროს შეიპყრეს 63 კაცი. პოლიციელებისა და მანიფესტანტების შეჯახების დროს მძიმეთ არც ერთი არ დაშავებულა. 63 დაჭერილ მანიფესტანტებიდან 30 უკვე გამოუშვეს, რადგან მოწმეთა ჩვენებით ვერ დამტკიცდა, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ არეულობაში; დანარჩენი 33 კაცი, გაძლიერებულ დაცვის წესდების თანახმათ, თფილისის გუბერნატორის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნებიან ციხეში სხვადასხვა ვადით.

**თფილისის გუბერნატორის დადგენილება.**

1903 წელს, 29 აპრილს, მე, თფილისის გუბერნატორმა, განვიხილე რა გამოძიება 27 აპრილს მომხდარ უწყესობ-

ბის შესახებ, ქალაქ თფილისში სავალდებულო დადგენილებათა თანახმათ, რომელნიც გამოცემულ იქმნენ კავკასიის მთავარმართებლისაგან 18 იანვარს 1902 წ., სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესიერების დაცვის შესახებ, დაუდგანე: ქუჩაზე შეკრებისათვის საზოგადო მშვიდობიანობის დასარღვევათ და პოლიციის წინადადების შეუსრულებლობისათვის დაპატიმრებულ იქნენ:

**ა) სხვა თვით:**

- 1) გიორგი ნუცუბიძე—თელავის მოქალაქე, 2) მარიამ მდინარაძე, ოზურგეთის მაზრის, ს. ვაკეჯვარის გლეხის ქალი, 3) გიორგი ჩაბლიაშვილი, თელავის მაზრის, სოფ. შაშინის მცხოვრები, 4) ნიკოლოზ პონხაძე, რაჭის მაზრის, ს. გორისუბნის გლეხი, 5) გეურჯ აკოფოვი, თფილისის მოქალაქე, 6) ფრიდონ მინდიაშვილი, გორის მაზრის, ს. ქემერტის მცხოვრები, 7) სპირდონ არჩუაძე, გორის მაზრის ს. ფლავის მცხოვრები, 8) იაგორ გაბრიელოვი, თფილისის მაზრის, ს. ახალსოფელს მცხოვრები, 9) ნიკოლოზ მიროიანცი, თფილისის მოქალაქე, 10) ბაღჩუა ქართაშვიდი, თფილისის მოქალაქე, 11) გიორგი მეჭურჭლიშვილი, სიღნაღის მაზრის, ს. ბოდბისხევის მცხოვრები, 12) ლუკა ლევაძე, ქუთაისის მაზრის, ს. კულაშის მცხოვრები, 13) დათიკო კობახიძე, სენაკის მაზრის, ს. სამტრედიის მცხოვრები, 14) არჩილა ებრალიძე, ოზურგეთის მაზრის, ს. ლანჩხუთის მცხოვრები, 15) ლევანა ლესურაშვილი, თფილისის მაზრის, ს. დილომის მცხოვრები.

**ბ) ორი თვით:**

- 16) ზაქარია არჩუაძე, გორის მაზრის, სოფ. ფლავის მცხოვრები. 17) ნიკოლოზ მელაძე, ქუთაისის მაზრის, სოფ. მათხოჯის მცხოვრები.

**გ) თვე-ნახევრით:**

- 18) ზაქარია ონაშვილი, თფილისის მაზრის, სოფ. პატარძელის მცხოვრები, 19) პეტრე მამასახლისოვი, გორის

მაზრის, სოფ. ახალქალაქის მცხოვრები, 20) როდიონა კობრიძე, ქუთაისის მაზრის მცხოვრები, 21) სილიბისტრო გაბუნია, ქუთაისის მაზრის, ს. ციხესილოურის მცხოვრები, 22) ისააკა ბირკულოვი, თფილისის მაზრის, სოფ. პატარძელის მცხოვრები.

დ) ერთის თვით:

23) ილია ცხვეთაძე, თფილისის მაზრის, ს. პატარათონეთის მცხოვრები, 24) ილიქსი ბიტაშვილი, თფილისის მაზრის, ს. გლდანის მცხოვრები, 25) იოსებ ქაიხაძე, სიღნაღის მაზრის, სოფ. ბოდბეს მცხოვრები, 26) გიორგი პირკულოვი, თფილისის მოქალაქე, 27) მოსე ბურკულაძე, ოზურგეთის მაზრის მცხოვრები, 28) იობა მესხიძე, ახალციხის მოქალაქე, 29) დავით გოგინძე, გორის მაზრის, ს. კავთისხევის მცხოვრები, 30) შაქრო ფადაროვი, თფილისის მოქალაქე, 31) ტიგრანა ზაკუტოვი, თფილისის მაზრის, ს. ვაშლოვანის მცხოვრები, 32) გრიგოლ შახნაზაროვი, თფილისის მოქალაქე, 33) ივანე გრატიაშვილი, თფილისის მაზრის, ს. საგარეჯოს მცხოვრები.

ეს დადგენილება ძალაში შევიდა 27 აპრილს, საღამოს 9 საათიდან.

**პრესის 200 წლის იუბილეს გამო.**

ყველამ იცის, რომ პრესა არის უმთავრესი ფაქტორი ცივილიზაციის და კულტურის გავრცელებისა; პრესა არის საუკეთესო გამომხატველი საზოგადოებრივ ბრძოლისა და წინმსვლელობისა ყოველ განათლებულ ერში.

ერთმა ჩვენმა პუბლიცისტმა-ხმოსანმა თქვა თფილისის საბჭოს სხდომაზე: მე მეტი გავაკეთე, ვინემ რომელიმე გიმნაზიამო. დიხაც, გაზეთს მეტის გაკეთება შეუძლია, ვინემ არამც თუ გიმნაზიას, არამედ უნივერსიტეტსაც. გიმნაზიის მასწავლებლის და უნივერსიტეტის პროფესორის აუდიტორია რამოდენიმე ას მსმენელს არ აღემატება, ჟურნალისტის აუდიტორია კი ათასებს და მილიონებს შეიცავს. მასთან სასწავლებელს სენაკური ხასიათი აქვს და შეიძლება იქ მეცნიერების მაგიერ ცრუმორწმუნეობა გავრცელდეს. პრესაში წარმოთქმულ სიტყვამ კი კრიტიკის ქარცეცხლში უნდა გაიაროს.

აი ამ პრესის 200 წლის იუბილზე ილდესასწაულა მთელმა რუსეთმა. ჩვენი ქალაქის საბჭომაც მოინდომა ამ იუბილეს აღნიშვნა და მან გადასწყვიტა: 1) დაარსდეს ორი სტიპენდია თფილისის საშუალო სასწავლებლებში ბეჭდვითი საქმის მუშათა შეილების (ვაჟისა და ქალის) აღსაზრდელათ. 2) დაარსდეს მიხეილის საავთომყოფოში ერთი საწოლი ამავე ავთომყოფ მუშათათვის; შემდეგ, როცა გაიხსნება ქალაქის საავთომყოფო, ეს საწოლი იქ უნდა იქნეს გადატანილი და 3) აღძრულ იქნეს შეამდგომლობა, რომ ქალაქის მართველობას ნება მიეცეს გამოსცეს თავისი პერიოდული გამოცემა. ამ პროექტის დაწვრილებით განხილვისთვის არჩეულ იქნა ცალკე კომისია, რომელმაც განიხილა პროექტი და ადგილობრივ გაზეთებსაც სთხოვა თავიანთი აზრი გამოეთქვათ ამ საგანზე.

პროექტის განხილვის დროს კომისიას თავისი ყურადღება შემდეგ საკითხზე მიუქცევია: 1) სახელდობრ ვის უნდა აღმოეჩინოს შემწეობა ქალაქის სტიპენდიითა და საწოლით? ამაზე კომისიას დაუსვენია: რადგან საქმე გამოწვეულია პრესის 200 წლის იუბილეთი, ამიტომ შემწეობა უნდა აღმოეჩინოს სწორედ პრესის მუშაკთ—ლიტერატორებიდან დაწყებული ასოთამწყობებამდე. 2) ამ შემთხვევაში, კომისიის აზ-

რით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს თფილისის პერიოდულ გამოცემათა მუშაკთ და თფილისის მცხოვრებელ მუშაკთ. მისი რაოდენობა კომისიას აღუნიშნავს: ა) სტიპენდიისა 20 მანათი წელიწადში (მოსიარულე მოსწავლისათვის) და ბ) საწოლისა 144 მ. წელიწადშივე. 4) სტიპენდიის დანიშვნა და საწოლით სარგებლობის ნების მიცემა უნდა დაევალოს, დაასკვნის კომისია, შეერთებულ სხდომას ტფ. ქალაქის გამგეობისა და საბჭოს ორი წარმომადგენლისა (უმთავრესათ ლიტერატორთაგან).

როდესაც კომისიამ განიხილა ადგილობრივ გაზეთებში გამოთქმული აზრები ამ საგანზე, შემდეგი ცვლილება მოახდინა თავის დადგენილებაში: 1) სტიპენდიები დანიშნოს არა მარტო საზოგადო საშუალო სასწავლებლებში, არამედ, შეძლებისდაგვარათ, ბეჭდვითი საქმის სპეციალურ სასწავლებლებშიც და 2) უპირატესობა შემწეობის დანიშვნის დროს მიეცეს თფილისის გამოცემებზე მომუშავეთ და თფილისში მუდამ მცხოვრებთ.

ეს დადგენილება კომისიამ უკვე წარუდგინა ქალაქის მართველობას და უკანასკნელმა—ქალაქის საბჭოს.

როგორც მკითხველი ხედავს, ეს დადგენილება შეიცავს ჩვენი ქალაქის მართველობის ჩვეულებრივ რუტინას, შაბლონს—ვალის მოხდას. ყველა იუბილეს აღნიშვნა საზოგადოთ ასე იციან ჩვენმა ქალაქის მამებმა: ან გააკრავენ იუბილიარს რამელიმე ბნელ დანგრეულ ქუჩაზე ან რომელიმე დანგრეულ შკოლის კარებზე და ან დანიშნავენ სტიპენდიას, რომელიც თითქმის არასოდეს მიზანს არ აღწევს.

საჭირო იყო ჩვენი ქალაქის საბჭო ფერო ღრმით ჩაკვრებოდა, თუ რითი უნდა აღენიშნა პრესის ორასი წლის დღესასწაული. იმას უნდა გაეთვალისწინებია საზოგადოთ ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობა, მისი ორასი წლის მოქმედება, მისგან გამოვლილი ტანჯვა-წამება ამ ორ საუკუნეში, მისი გავრცელების იარაღის—ტყვის არძიის, მდგომარეობა. ჩვენში და საზღვარგარეთ. ღ ამის მიხედვით დაეწესებია იმისთანა რამ, რის შემწეობითაც ბეჭდვითი საქმეს შესძლებოდა წინ ბიჯის გადადგმა. ქალაქს შეეძლო 1) აეკო შესაფერ გეგმაზე სამაგალითო სტამბა და 2) გაეხსნა სტამბის შკოლა.

როდესაც საქალაქო სტამბაში ყველაფერი სამაგალითოთ მოეწყობოდა და დაწესდებოდა შესაფერი წეს-რიგი, როდესაც სტამბის შკოლა გაწრთვნიდა მომუშავეთ, მაშინ ქალაქში აღარ იქნებოდა ისეთი სტამბები, რომელნიც სტანჯავენ როგორც მომუშავეთ, ისე საქმის დამკვეთთ, და საქმეს მაინც რიგიანათ ვერ ასრულებენ.

მართლაც, თუ კი ჩვენი ქალაქი ცდილობს გახსნას სამაგალითო ფურნე და ხორცის დუქანი, რომ ამითი აღაგმოს ჩვენი მეფურნეების და ყასბების თავგასულობა და მიაწოდოს მცხოვრებთ მარგებელი სანოვაგე, მგონი, უადვილო არ იქნებოდა, რომ მას გაეხსნა იმისთანა დაწესებულება, სადაც გონების საზრდოც მზადდება. ქალაქისთვის ეს ადვილი მოსახერხებელია, რადგან იმას უკვე აქვს საბჭოს მდივნის მიერ შედგენილი პროექტი ამ საგნის შესახებ. აი მხოლოდ მაშინ დაგვიხსნიდა ქალაქი ჩვენი მესტამბეების უზომო ექსპლუატაციისაგან და სტამბის ხელოვნებას წინ წასწევდა. განა ეხლანდელი ჩვენი მესტამბეები იგივე მეყასბეები არ არიან? მათი ფაქტორები განა იგივე სალახები არ არიან?

თითქმის ყველა ჩვენი სტამბები მოთავსებულია ბნელ ნოტიო და მუდამ მტვრით სავსე სარდაფებში. ჰაერი აქ მოწამლულია და საკმარისიც არაა. ზამთარში მუშები სიცვიისაგან იყინებიან. აი ამისთანა სარდაფში უნდა დაჰყოს 9—18 საათი ნახევრათ მშვიერმა მუშამ. თვით მუშაობის პროცესი მო-

ითხოვს ინტენსიურ შრომას: ასოთამწყობი მუშაობის დროს მუდამ ფეხზე დგას, ცალ ხელში უჭირავს ვერსტატი, მეორე თი აწყობს სწრაფათ ასოებს კასის უჯრებიდან; თვალებით ჯერ ორიგინალს უცქერის, ხშირად გაუგებრათ დაჯღაბნილს, და მერე კასის უჯრებში, რომ ასოები თავის რიგზე ამოიღოს და უკუღმა არ დასვას, თან თითოეულ სტრიქონს უნდა გადახედოს, რომ არ გამოჩნდეს ან ორჯერ არ ააწყოს ერთი და იგივე სიტყვა ან ასო, რომ სწორათ გადაიტანოს სიტყვა ერთი სტრიქონიდან მეორეში. ასეთივე ინტენსიური მუშაობა ჰქონდა კორექტურის გასწორებას და აწყობილის შეკვრას. მბეჭდავიც მუდამ დგას მაშინაზე, სწრაფათ აწყობს ქაღალდს და უცქერის, რომ მრუდეთ არ დააწყოს, მეტი ან ნაკლები საღებავი არ მისცეს და თითოეული ასო კარგათ გამოვიდეს. ჩარხის მატრიალებლები ხომ წელებზე ფეხს იდგამენ. ამისთანა აუტანელ პირობებში მუშაობენ ისინი და მაინც მათ კვირაობითაც კი არ ასვენებენ.

სტამბებში არაა ხეირიანი და საკმაო არც მაშინები, არც შრიფტი და სხვა მასალები, არც სამუშაო იარაღები და არც საქმის მკოდნე ოსტატები. შავირდებს სისტემატიურათ არ ასწავლიან ხელოვნებას, და თუ საზოგადოთ შესაძლებელია, რომ როგორც ასოთამწყობმა, ისე მბეჭდავმა შეიწავლოს თავისი ხელოვნება ოთხ-ხუთ წელიწადში, ჩვენში თორმეტი წლის განმავლობაშიაც ვერ ასწრებენ ხეირიანათ მის შესწავლას. ჰიგიენის მხრითაც არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მათ. ყმაწვილები მუდამ მტვერში იგანგლებიან. ნაგავით სავსე კასები მუდამ შავირდებმა უნდა ამობერტყონ, ყლაპონ უხვათ მტვერი და ამითი მოუმზადონ ქლექს ნიადაგი... (ასოთამწყობებში ქლექით ავათყოფი ძლიერ ხშირია).

თუ ჩვენი სტამბები ახლანდელ ანტიანტიტარულ მდგომარეობაში იქნებიან, ქალაქმა მათი მუშებისთვის საკუთარი საავათყოფოც რომ გახსნას, მაინც ვერას უშველის, რადგან სტამბის ატმოსფერო ქლექს აჩენს და ექიმობა მერე ვეღარას შევლის. ჩვენ სტამბებში არიან ისეთი მომუშავენიც, რომელთაც სტამბის მყრალი ჰაერის გამო ყნოსვა სრულიად დაკარგული აქვთ.

რაც შეეხება სტიპენდიებს, მათ უნდა ქონდეთ სპეციალური დანიშნულება და უფლება მათზე უნდა მიეცეს ნიქს. რადგან ასოთამწყობი ან მბეჭდავი, მუდამ მარტო პერიოდულ გამოცემაზე არ მუშაობენ (ხშირად მოხდება, რომ ისინი აქციდენციაზე უფრო მეტ დროსაც მუშაობენ), ამიტომ სტიპენდია უნდა მიეცეს საზოგადოთ სტამბის მუშას მიუხედავათ იმისა, მუშაობს ის აქციდენციაზე თუ გაზეთზე.

რაც შეეხება იმას, თუ ვის უნდა ეკუთნოდეს შემწობის განაწილების უფლება, ეს მე უნებლიეთ იმ ამბავს მაგონებს, რომ ერთხელ ჩვენმა „უპრავამ“ ერთი სტიპენდია თავისი წევრის პაპოიანცის შვილს არგუნა\*).

ასოთამწყობი

### კიდევ „ცნობის ფურცელს“.

ფიქრობდით გასულ კვირას „ცნობის ფურცელთან“ ლაპარაკის გათავებას, მაგრამ საბასუხო წერილით („ცნ. ფ.“ № 2138) მან ისეთი „სილატაკის მოწობა“ მისცა თავის თავს, რომ საჭიროთ ვთვლით კიდევ ერთჯერ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღებაამ პოლემიკაზე.

\*) ამავე საგანზე იყო ჩემი შენიშვნა „კვალის“ 1902 წ. № 49-ში და გადაბეჭდილი „თიფლისკ. ლისტ.“ იმავე წლის 287 №-ში. ავტ.

მკითხველს ეხსოვნება, რომ „ცნობის ფურცელს“ გამოაცხადა, ჩვენი ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში იმდენათ შეუსწავლელია, რომ ჩვენს წინაშე არაა არა მანის შესახებ არა გვაქვს და ვერც ვაძვირებთ მათ მართალია ბ. ყვირილელიო. იგივე განიმეორა მან შემდეგ წერილში.

ახლა კი აი როგორ ლაპარაკობს „ცნ. ფ.“ ამ კითხვის შესახებ. მას ჯერ მოყავს ერთი ადგილი ჩვენის იმ ისტორიულ ხანის დახასიათებიდან და შემდეგ სწერს:

„ბ. ყვირილელიო, არ შეიძლება თქვენი წერილის ამ ადგილზე რამდენიმე კითხვა მოგცეთ? შესაძლებელია ისე გადაჭრით ახსნა საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, როგორც ამოწერილი ადგილია? აქვს თუ არა ავტორს წარმოდგენა იმ მოძრაობაზე, რომელიც მოყვა საქართველოს რუსეთთან შეერთებას და რომელშიაც დიდი მონაწილეობა მიიღო თავდა-აზნაურობამ? როგორ გონია ბ. ყვირილელს, როდის უფრო იცავდა თავდა-აზნაურობა თავის წოდებრივ ინტერესს, როცა ამ მოძრაობაში იღებდა მონაწილეობას, თუ როცა ნუნუსა და ლამაზ თვალების ტრფობის მეტი არაფერი ავთანდებოდა (ეს კითხვა საგანგებო ინტერესის უნდა იყოს „მატერიალისტისათვის“)?

ეს კითხვა მართლა „საგანგებო ინტერესის“ არის მატერიალისტისათვის და კარგათ თუ ცუდათ გამოვთქვით მის შესახებ ჩვენი აზრი. რაც შეეხება თავდა-აზნაურობის იმ მოძრაობას, რომელსაც ახლა იხსენიებს „ცნ. ფ.“—ჩვენი ფიქრით, ეს იყო არა ღრმათ ამ წოდებაში ფესვმოდგმული, არამედ ცხოვრების ზედა პირზე აღმონაცენი მიმდინარეობა, ერთ ბატარა ჯგუფში უცებ ანთებულთ და უცებ ჩამქრალი,—რაც ასე ხშირია ასეთ გარდამავალ ხანებში. ამის მაჩვენებელ მაგალითს თვით ალ. ჭავჭავაძე და მისი ამ მოძრაობაში მონაწილეობა წარმოადგენს. თავდა-აზნაურობა კი საერთოთ მომხრე იყო რუსეთთან შეერთების და თვითონვე განამტკიცა ეს შეერთება, მაგრამ საქმე ახლა ამაში არ არის. „ცნობის ფურცელი“ განაგრძობს:

„მიუხედავათ კვალელთა შესანიშნავ გამოკვლევების არსებობისა, ვებდავთ ეჭვი შევიტანოთ ბ. ყვირილელის „შეხედულობის სიმართლე-საფუძვლიანობაზე: ისეთი ტენდენცია, რომელსაც ბ. ყვირილელი აწერს მთელ მაშინდელ თავდა-აზნაურობას, ბატარა უმრავლესობასაც კი არ ქონია“...

ვინ ამბობს, შეიტანეთ ეჭვი! ყველას უფლება აქვს საკუთარი აზრი იქონიოს, თუნდაც ისეთი დაუსაბუთებელი, როგორც „ცნ. ფურცელს.“ მხოლოდ ერთ რამეს კი ნუ ივიწყებთ. თქვენ წინათ სულ სხვა ეჭვებზე გქონდათ ლაპარაკი. თქვენ ეჭვი იმაში შეგქონდათ, შეიძლება თუ არა წარმოსთქვას კაცმა თავის აზრი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარის შესახებ. თქვენ ეს ყოვლად შეუძლებელათ სცანით და ამიტომ არ ენებოდით ჩვენი აზრის სიმართლეს. ახლა კი, როდესაც ჩვენ ჩამოგივალეთ წყაროები, საიდანაც შეიძლება კაცმა აზრი შეიმუშავოს ამ ხანის შესახებ, დაგისახელეთ მიზეზები, რომლებიც მწერლისათვის სავალდებულოთ ხდიან ამ აზრის შემუშავებას, თქვენ გამოსულხართ თქვენის „აზრით“ და გასურთ აქეთ მიაქციოთ მკითხველის ყურადღება. რატომ წინათ არ გვაძლევდით „საგანგებო ინტერესის“ კითხვებს? რატომ წინათ ვერ ბედავდით მაგ „გაპირვების აზრის“ გამოთქმას? როდის შეამუშავეთ ეგ? რატომ ახლა დაგქირდათ მისი გამოცხადება? იმიტომ, განა, რომ საჭირო გახდა მართლით თუ ტყუილით სახიფათო კითხვის მიფუჩჩევა და გვერდის ახვევა?.. ესეც, ალბათ, „პასუხია.“ ესეც, ალბათ, გაქცევა არ არის. ესეც, ალბათ, „აზრია,“ რომელზედაც ლაპარაკი ღირს.

ახლა იმ ბოდიშის შესახებ, რომელიც „ცნ. ფურცელ-მა“ მოიხადა ჩვენ წინ. მან როდესაც თავის ბრალდება „უკან წაიღო“, იმით სცდილობდა დანაშაულობის შემსუბუქებას, რომ ვერ გაიგო კარგათ ჩვენი პირველი წერილის აზრი, რომელიც, მისი სიტყვით, ჩვენ ნათლათ მხოლოდ მეორე წერილში განმარტებთ. ამაზე ჩვენ ვუბასუხეთ,—არავითარი ახალი განმარტება ჩვენს მეორე წერილში არ ყოფილა და ნუ სცდილობთ ამ ტყუილით თავის გამართლებას. ცნობის ფურცელი გვიბასუხებს: „ბ. ყვირილელს არ ესმის მოპირდაპირის პატივისცემა, ეს მისთვის, ალბათ, მიუწოდებელი ღირსებაა; და აბა რა საკვირველია, რომ ჩვენი ზრდილობიანი შენიშვნა მან „გაქცევით“ მონათლა. ერთი კი დაავიწყდა ავტორს, რომ თავის საპასუხო წერილში თავის პირველ წერილში შესაფერ ადგილის აზრის ცხადყოფისათვის ფრჩხილებში რამდენიმე სიტყვა ჩაუმატა „მას აქეთ ქართველობის უმრავლესობას ყმის ბორკილებს გარდა არა დაუკარგავთ რაა“, სწორდა თავის პირველ წერილში. ჩვენ და ბევრმა სხვამაც ეს ადგილი ისე გავიგეთ, როგორც ჩვენ პირველ შენიშვნაში იყო ნათქვამი. ბ. ყვირილელის პასუხში მოყვანილი იგივე ადგილი ასე: „მას აქეთ (ე. ი. ალ. ქავჭავაძის ხანას აქეთ) ქართველობის უმრავლესობას ყმის ბორკილებს გარდა არა დაუკარგავთ-რა“! ფრჩხილებში ჩამატებული სიტყვები რომ პირველ წერილშიაც ყოფილიყო, იმ მძიმე ბრალს არავინ დასწამებდა ბ. ყვირილელს“.

არ გვსურდა, ჩვენი წერილის ამონაწერებით აგვექრებოდა ვახეთი, მაგრამ რას იზამ, როდესაც მტკნარი სიცრუის გაფანტვა მხოლოდ ამით შეიძლება. ჩვენს მეორე წერილში მოყვანილი სიტყვები მართლა არ არის პირველში, რადგანაც ჩვენ ციტატა კი არ მოგვეყვანა, არამედ იგივე აზრი შემოკლებით. აი, პირველ წერილში რა ეწერა. დავახსიანეთ რა მოკლეთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა ალ. ქავჭავაძის დროს, ჩვენ განვაგრძეთ:

„აი, ასეთ მდგომარეობაში იყო ჩვენი ქვეყნის ბედი თ. ალ. ქავჭავაძის დროს. ვისთვის იყო ეს მდგომარეობა ახლანდელზე უკეთესი? მაშინდელი ქართველობა ორ მთავარ ჯგუფათ იყო გაყოფილი. ცალ მხრით ყოველ უფლებას მოკლებული, ფეოდალურ უფლებით წველ გატეხილი უმრავლესობა იდგა, მეორე მხრით უფლებებით აღჭურვილი და ეკონომიურათ უზრუნველყოფილი უმცირესობა. პირველთ მას აქეთ ყმის ბორკილებს გარდა არა დაუკარგავთ-რა, მაშასადამე, მათთვის წარსული უფრო ბნელი იყო, ვიდრე დღევანდელი დრო არის“...

მაშ ყოფილა თუ არა მეორე წერილში მოყვანილი სიტყვები პირველის განმარტება, თუ შემოკლებით განმარტება? აი, ამ ადგილის შესახებ აცხადებს „ცნ. ფურცელი“, ჩვენ და ბევრმა სხვამაც ვერ გავიგეთ, რას შემდეგ არ დაუკარგავს არაფერი ყვირილელის აზრით ხალხის უმრავლესობას. აქ ყოფილა თურმე „ორაზროვნობა“. და მერე ეს ისეთ წერილში, რომელიც თავიდან ბოლომდე აგებულია ამ ერთ დაპირდაპირებაზე,—ალ. ქავჭავაძის ხანის და თანამედროვე ხანის შედარებაზე. ამაზე და მხოლოდ ამაზე იქ ლაპარაკი. „ალ. ქავჭავაძის დრო“, „დღევანდელი დრო“, „შევადართ ეს ორი ხანა“, „ვინ რა დაკარგა ამ დროს განმავლობაში“—მიბრძანეთ, თუ აქის ისე გაგება, როგორც „ცნ. ფურცელმა“ პირველათ გაიგო, მოსაბოდიშებელია მწერლისათვის, რით განიჩევა მაშინ მწერალი გოგოლის ცნობილ პეტრუშკასაგან. და ნუ თუ მეორე წერილში ნახმარი სიტყვები შეიძლება ჩაითვალოს რაიმე ახალ განმარტებათ პირველისთვის, მის „ორაზროვნობის“ გამფანტველათ? „ცნობ. ფურცელს“ უკვირს ჩვენ

ნის მხრით მისი გაუგებრობის გაკიცხვა. აქო და ბოდიში მოვიხადო, თქვენც ჩემთვის პატივი უნდა გეცათ და „ზრდილობიანი შენიშვნა“ გაქცევით არ უნდა მოქცნითლანთა—მის ვახსენებთ „ცნობ. ფურცელს“, რომ ბოდიშებულს „სიტყვებს“ მოალობს, და ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ საზოგადოებას დავანახოთ მისი გონებრივი სილატაკე, რადგან მწერლის ეს თვისება, თუნდა „ზრდილობიანი შენიშვნებითაც“ შემკული, ჩვენ მწერლობის გათახსირებათ მიგვაჩნია.

წერილის დანარჩენ ნაწილში „ცნ. ფურცელი“ „მამებზე“ ლაპარაკობს. აქ ის იმეორებს იმავე მანერს, რაც წინანდელ პასუხში იხმარა: თითქო არ ესმის, რომელ მეორე გაუგებრობაზე ელაპარაკებიან, ის დაჟინებით იმეორებს ისეთ რამეებს, რასაც არავინ უარყოფს და სცდილობს ეს დაუპირდაპიროს ვითომდა ჩვენგან გამოთქმულ აზრს. ყველაფერი ის, რასაც ამბობს აქ „ცნ. ფურცელი“, თქვა მან წინათაც და ვფიქრობთ, საკმარისათ დავაფასეთ წინა წერილებში, ასე რომ ახლა მის გარჩევას აღარ დავუბრუნდებით.

ამ კითხვას თუ „ცნობის ფურცელი“ ისევ წინანდულათ გვერდს უვლის, მეორეს ის არც კი იხსენიებს სრულებით. მის აზრს ზოგიერთ სამოციან წლების მოღვაწეთა შესახებ—ყოველთვის წინააღმდეგი იყვენ აზნაურობის უპირატესობრივ მდგომარეობისაო—ჩვენ დაუპირდაპირეთ „პრესაში“ დამტკიცებული წინააღმდეგი აზრი და მოვთხოვეთ ან მოვეყვანა რაიმე საბუთი თავის აზრის დასამტკიცებლათ, ან უკანვე წაელო ნათქვამი. დღეს ამაზე „ცნ. ფურცელი“ სდუმს.

გვითხრას ერთი „ცნობ. ფურცელმა“, რა ჰქვია ამას, თუ არ „გაქცევა“? არსებობს განა სხვა სახელი?

მაგრამ როგორ არა, არსებობს, და ეს სახელი შეეფერება საზოგადოათ მის ქცევას ამ პოლემიკის დროს.

მან დაიწყო გაუგებრობით. შემდეგ, როდესაც ეს აუხსნეს, მან ზოგ კითხვაში უკან დაიხია, მაგრამ რადგანაც ყოველ კითხვაში ბოდიშის მოხდა არ შეიძლებოდა, მან დაიწყო განზრახ კითხვების გადაფუჩიჩება, მკითხველისაგან დამალვა, იმ იმედით, რომ ბევრი „ცნ. ფურცლის“ მკითხველი ჩვენს საპასუხო წერილებს „კვალში“ არ კითხულობს. ამის წინააღმდეგ ჩვენ არავითარი ღონე არა გვაქვს, და კიდევაც რომ გვქონდეს, არ ვიხმარდით, იმიტომ რომ სრულებით არ ვაფასებთ ისეთ მკითხველის აზრს, რომელიც ასე ენდობა „ცნობის ფურცელს“.

მხოლოდ „ცნობ. ფურცლის“ ასეთ საქციელს კი, რომელიც დღეს ყველასთვის აშკარაა და რომელიც ჩვენს წინანდელ წერილებს შემდეგ გაუგებრობით ვეღარ აიხსნება, საკუთარი სახელი აქვს. თუ რა სახელზე ვლაპარაკობთ, ამას თვით „ცნ. ფურცელი“ მიხვდეს...

და ეს მოუვა ყველას, ვინც „ცნ. ფურცლის“ ავლა-დიდებით მწერლობის მორევში შესტოპავს.

ყვირილელი.

სხვადასხვა ამბები

ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ სახელოსნოებთან არსებულ რკინის გზის მოსამსახურეთა წიგნთსაცავს დაენიშნოს 500 მან.

თბილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა ახალმა გამგემ ბრძანება გამოსცა იმ მოხელეთა საყურადღებოთ, რომელნიც სახაზინო მიწებსა და იჯარის საქმეს განაგებენ. როგორც გამოიჩევა, ნათქვამია ბძანებაში, საჯარო ვაჭრობის დროს სახელმწიფო მიწები იაფ ფასათ უფრო ხშირად ჩარჩე-

ბსა რჩებათ ხოლმე, რომელნიც შემდეგ ერთი სამად და ოთხათ უფრო ძვირათ გლახებს უთმობენ. ამ რიგათ ჩარჩმა გლახისა და ხაზინის შუაჲ ამოყო თავი. გამგე ავალებს მოხელეებს, დიდი ყურადღება მიაქციონ საიჯაროთ სახაზინო მიწების გაცემას. მოხელეებმა წინდაწინვე უნდა აცნობონ სოფლებს, სად რა მიწა იძლევა იჯარით და გააცნონ პირობანი იჯარისა. განცხადებანი ვაჭრობის შესახებ ადგილობრივ ენებზედაც უნდა დაიბეჭდოს.

კიშინევიში თავდასხმისაგან დაზარალებულ ებრაელთა შველა თბილისელმა ებრაელებმაც განიზარახეს. როგორც გამოიკვია, კიშინევიში ამ ჟამათ 4000 სულზე მეტია თურმე ულუკმაპუროთ დარჩენილი. თბილისელმა ებრაელებმა შუამდგომლობა აღძრეს საგუბერნიო ადმინისტრაციის წინაშე, ნება მიეცეთ გამართონ დაზარალებულთა სასარგებლოთ ხელის მოწერა და კონცერტი.

კარგა ხანია ლაპარაკი აღძრეს ამიერ-კავკასიაში მაგარ სასმელების მონოპოლიის შემოღების შესახებ. შარშან აპრილში ამის შესახებ ტფილისში თათბირი მოხდა. ამავე საქმის გამო ადგილობრივ ცნობების შესაკრებათ პეტერბურგიდან გამოგზავნეს გაუწერელ ვადსახადთა დეპარტამენტის დირექტორის თანაშემწე ნოვიცკი. მის მიერ წარდგენილ მოხსენებისა და ცნობების თანახმად ფინანსთა მინისტრს ბ-ნ ვიტტეს, როგორც გვატყობინებენ, ჯერჯერობით ნაადრევად უცვნია ამიერ-კავკასიაში მაგარ სასმელების მონოპოლიის შემოღება. მინისტრმა უკვე აცნობა სააქციოზო გამგეობას, რომ მონოპოლიის შემოღება ამიერ-კავკასიაში სხვა დროისთვის გადაიდოსო.

კიშინევიში დაზარალებულ ებრაელთა სასარგებლოთ წარმოდგენის გამართვას აპირებენ „საარტიტო საზოგადოების“ თეატრში.

2 მაისს დაიწყო თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მორიგი კრება. სხვათა შორის, კრებამ უნდა აარჩიოს გუბერნიის მარშალი. კრება ხდება „ტფილისის საბრანიის“ სადგომში.

სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენიდან საზოგადოებას დარჩა წმინდა შემოსავალი 421 მანეთი.

როგორც გავიგეთ გადაცვლებულ ქბ. მაკაროვის მემკვიდრეებს სომხურ დრამატიულ საზოგადოებისათვის შეუწირავო სამასი თუმანი. ამ ფულის ყოველ წლიური სარგებელი გადადებული იქნება დრამატიულ საზოგადოებისაგან საპრემიოთ საუკეთესო სომხურ ენაზედ დაწერილ დრამატიულ ნაწარმოებისთვის.

ამიერ-კავკასიის რკინის გზა დღემდის, როცა კი დასჭირდებოდა მაღალ თანამდებობის აღმასრულებელნი, იწერავდა მოხელეთ ყოველთვის რუსეთიდან. როგორც აღმოჩნდა, რუსეთიდან ჩამოსულნი სრულებით ვერ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებას, რადგან ცოტანი მოდიოდნენ და ამიტომ მოძრაობის უფროსს, მიუღია რა ეს გარემოება მხედველობაში, ნება მიუცია დაბალ თანამდებობის აღმასრულებელ მოხელეთ დაიჭირონ მათი ადგილი მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი ეგზამენს დაიჭერენ. წინეთ იყო გამოცხადებული, მო-

ხელეთ შეუძლიანთ მიიღონ წარმატება სამსახურში მაშინ, როცა ტელეგრაფის ხელოვნება ეცოდინებათ. ახლა, როგორც მოძრაობის უფროსი ფიქრობს, ეს შეუძლებელია. იმდენი ტელეგრაფის მანქანები არ ჰქონია გზაზე, რომელზეც მოხელეს შეეძლოს ამ ხელოვნების შესწავლა. ამიტომ მოძრაობის უფროსს ნება მიუცია ყველა დაბალ მოხელესათვის ეგზამენი დაიჭაროს მოძრაობის რევიზორების წინაშე და შემდეგ ცალკე კომისიაში.


„ცნობ. ფურც“ თელავის მაზრიდან სამწუხარო ამბავს ატყობინებენ: აპრილის დამლევს დაუსეტყვია სოფლები ხორხელი, ოჯიო, რუისპირი და კონდოლი; მეურნეთ დიდი ზარალი მოსვლიათო.

ამიერ-კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტს განუზარახეს სასტატისტიკო ცნობათა კრებულის გამოცემა. წელიწადში რამდენიმე კრებული გამოვა. კრებულები უფასოდ გავგზავნება მთავრობის დაწესებულებებს და სამეცნიერო საზოგადოებებს.

თფილისის გუბერნიის ახალი საქარხნო ინსპექტორი ამ თვის გასულს ჩამოვა და შეუდგება თანამდებობის ასრულებას. ძველი ინსპექტორის ხელიშესკი 8 მაისს წავიდა რუსეთს, სადაც გადაიყვანეს.

2 მაისს, ნაშუალამევის მეექვსე საათზე, თფილისში გარდაიცვალა თავადი კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ მუხრანსკი და 8 მაისს დასაფლავეს მცხეთის ტაძარში.

30 აპრილს თბილისის საოლქო სასამართლომ გაარჩია ოთხი ბორჩალოელი თათრის საქმე, რომელთაც ბრალათ ედებოდათ ბორჩალოს მაზრაში ღამით მწყემსებზე თავდასხმა და ხარის და კამეჩების წართმევა. ბრალდებულთ იცავდნენ ნაფიცი ვეჭილის თანაშემწეები ბბ. ჯაფარიძე და ბახტაძე. ბრალდებულებმა სასამართლოში განაცხადეს, რომ ისინი სრულიად უდანაშაულოდ სხედან ერთი წელიწადია ციხეში; კამეჩები, რომლებიც იმათ უპოვეს ბოსელში, მეველეებს დაეჭირათ დამნაშავეს ყანაში და იმიტომ მის ბოსელში შეერეკათ; მოვიდნენ „სტრაჟნიკები“, დაგვიწყეს შეუბრალებლოთ ცემა-ტყევა და იძულებული გაგხადეს გვეთქვა, თითქო მართლა წავართვით მწყემსებს კამეჩებო. მართლაც მოწმეების ჩვენებით აიხსნა სასამართლოში, რომ სტრაჟნიკებმა უმოწყალოთ სცემეს დამნაშავეებთ აღიარებულთ; ერთი მათგანი ჩამოკიდეს კიდევ თოკით ბოსელში და მოკვლას ემუქრებოდნენ, თუ არ გამოტყდებოდა. როდესაც ერთმა სტრაჟნიკთაგანმა უთხრა სხვებს, ასე ნუ იტყვიეთო, მას სხვებმა უპასუხეს, გარდაეცი ბრალდებულთ ფული მოგვცენ და არა ვცემთო. ერთ დამნაშავეთაგანს კიდევ მიეცა სტრაჟნიკებისათვის ხუთი მანეთი. როგორც მოწმემ ილაპარაკა, ამის შესახებ მაზრის უფროსისათვისაც მოეხსენებიათ. მნახველი დამნაშავეებისა თავდასხმის დროს არავინ არის, მხოლოდ მწყემსს ეთქვა თავის აღისათვის, წუხელის ვიღაც შეიარაღებული თათრები დამეცენ და ოთხი კამეჩი წამართვესო. ამ მწყემსმა სასამართლოში განაცხადა, შუალამისას გამეღვიძა და ოთხი კამეჩი აღარ იყოვო, აღის შემეშინდა მე არ გადამხდევინოს კამეჩების ფასი და იმიტომ მოვიგონე თავდასხმაო. მეველეებმაც სთქვეს, კამეჩები ჩვენ დავიჭირეთ ყანაშიო, რის შესახებ სტრაჟნიკებს ვუთხარით, როცა ისინი ქურდობას აბრალდებდნენ უდანაშაულო თათრებს, მაგრამ არ დაგვიჯერესო. ბრალმდებლის ამხა-



ნაგმა ბ. ფონკლოგენმა ბრალდებაზე უარი განაცხადა და ითხოვა რაინოდენიმე მოწმის ჩვენების პირი გაეგზავნოს სასამართლოს ბრალმდებელს, რათა სასამართლოში მისცენ ასეთი ბოროტმოქმედებისათვის სტრატეგიები. დამცველმა, ბ. ჯათარძემ ილაპარაკა, რომ მას არა ერთხელ შეხვედრია იმ გვარი საქმე, როდესაც პოლიციის მოხელეებთან ბრალდებულნი კისრულობენ დანაშაულს და სასამართლოში კი წინააღმდეგი აღმოჩნდება. მე ვფიქრობდიო, განაგრძო დამცველმა, უთუოთ პოლიციის მოხელეებს რაიმე განსაკუთრებული ნიჭი აქვთ ქვემარტების აღმოსაჩენადო, მაგრამ ესლა დავრწმუნდი, რომ მათი ნიჭი ფიზიკურ ძალაში და მათრახებში ყოფილაო, რის შემწვობითაც ბრალდებულნი ყოველთვის დამნაშავეებად გამოდიანო. დღევანდელმა საქმემ ცხადათ დავგვიტყვიო, თუ რა სიფრთხილით უნდა ეპყრობოდეს სასამართლო პოლიციელების ჩვენებასო... ბოლოს ბ-ნმა ჯათარძემ ბრალდებულთ სრული უდანაშაულობის გამო, სასამართლოს სთხოვა მათი გამართლება.

სასამართლომ მეტი დალიარ-ოლლი და გიულ მამედ გასან-ოლლი დამნაშავეთ იცნო უბრალო ქურდობისათვის და მიუსაჯა მათ 4 თვით საპყრობილეში დაბატონება, ხოლო მაგერამ ჯოჯლა-ოლლი და ორუდუ-რამპარ-ოლლი გაამართლა.

**კორესპონდენციები.**

**ქ. თელავი.** ამ ბოლო დროს ხშირათ შეხვედბა კაცა სხვადასხვა ყურხალ-გაზეთებში, რომ ამა და ამ ქალაქში ან დაბაში სამუშაო დღე დაწყეს, კვირა უქმობით ნაჭრები მუშაობისგან განთავისუფლეს, მდაბიო მუშა ხალხისთვის სახალხო კითხვების და წარმოდგენების მართვა დაიწეს და უოგელ მხრივ ცდილობენ გაუმჯობესონ მათი ცხოვრება. მხოლოდ თელავი კი ძრეელ შორს არის მათგან.

დღეს უკიდურეს მდგომარეობაშია ნაქართა საქმე თელავში. დილათ ადრე რომ გავიდეს კაცი ბახარში დაინახავს დუქნების წინ კამბალით ხელში ატუსულ ნაქართ და შეკირდებს, ილიაში ხელსახვეში გახვეული შავი ზურის ნატეხი უკავიათ, რომელიც შეადგეს მათ ჩაის, სადილს და ვახშმის და ულოდების თავანთ ოსტატს, თუ დუქანი ღია არ არის. ხოლო თუ ოსტატი წინას მისული და დუქანი ღია დახვდა, მაშინ საუვედურს მიიღებს. დილა ადრის დაწყებული დადამუშავდი განუწყვეტლივ მუშაობენ. არც დასვენება მათთვის, არც გაფლა, ასე გასინჯეთ ხშირათ ზურის ჭამაშიც საქმე ხელში უჭირავთ და ისე ღობნიან გამმარ ზურს. მუშაობენ ასე სადამოდის, ვიდრე დაბინდდება. თუ ზაფხულია, კიდევ კარგი, — თავისუფლებენ ამ დროს, თუ არა მოკეტვენ დარბებს (სტანებს), ახნებენ ღამებს და ისე ამუშავებენ 8-9 საათამდის. ეს შეიძლება ვსთქვათ სერთოთ ვეგლა ხელსახვე, მხოლოდ მჭედლების მუშაობა ხომარტანელია. დილათ 3—4 საათამდის, უფრო ადრეც, იწყებენ მუშაობას და განუწყვეტლივ მუშაობენ სადამოდინ. სვალალო უფრო ის არის, რომ ხშირათ შეხვედბა კაცი, სულ ზატარა 5-6 წლის ბავშვი ჩასტიდება უშველებელ საბერველს, ისე რომ ვერც კი სწვდება, და რაც ძალი და ღონე აქვს უბერავს. ასეთი ზატარა ბაღები სხვა ხელსახვეთანაც ბევრი მიუვათ. აი ამ გარემოებაში არიან კვირიდან კვირამდე. კიდევ კარგი, რომ კვირა-უქმე დღეები მანც თავისუფალი ქონდეთ. თუმცა დუქნები ამ დღეებში მიხურულია, მაგრამ თითო კარებს გამოადებენ და ისე ვაჭრობენ. ამ დროს ვეგლანი იქ არიან. ხშირათ უქმეებში კარები მიხურულებში მუშაობენ. კვირებით თუ რეგულარულად შუადღის შემდეგ განთავისუფლეს, თორემ დილათ სულ დუქნებთან იმყოფებიან. ამას გარდა თელავში ორი ორთქლ-მოდრავი აბრეშუმის ამოსახვევი ქარხანა არსებობს, სადაც სულ ქალე-

ბი მუშაობენ. დიდიდან სადამოდის ხელეობა ცხელ წყალში აქვთ ძაფის ამხვევაში.

ვეგლა შეკირდი რომ წერა-კითხვის უგინი რჩება, ამას კარდა ოსტატი სხვადასხვა ძველ ჩვეულებას და ცრუმორწმუნეთას უბერავს გულში. შეკირდი, რაცა შაბათ სადამოებით საშეკირდას 20 30 კ. იღებს, ქუდი უნდა მოხადოს და დაზგას ემთხვიოს ან გრდემლს, რომელიც წმინდათ მიანხიათ. შეიდეგლს, რომელიც საშეკირდას აჩუქებს, ხელზე უნდა კოცნოს. კიდევ რამდენი ჩვეულება აქვთ ვინ ჩამოთვლის.

ვინ უნდა მიაქციოს ამას ურხადება, თუ არა ისევ ქალაქის მამებმა, ვინ უნდა იზრუნოს მათთვის, თუ არა საკვირაო შეკლამ, რომელიც ეს ორი წელიწადია არსებობს თელავში და საკმაო შეკირდეებიც დაიარებიან. მაგრამ...

კვირა დღესსწავლებლებში ნაჭრებისთვის და სერთოთ მდაბიო ხალხისთვის არაფერი დროს გასატარებელი გასართობი არ არსებობს. ესენი შუადღემდი დუქნებთან არიან, სადილათ ზოგი შინ მიდის, ზოგი მიკიტნის დუქნებში ან ზაფხულაობით ბაღებში და დროს ატარებენ, რომელიც მარტო ღვინის სმაში გამიხატება. მერე ჩაუჯდებათ ქალაქს და ჯანაყადან და იქნება ბევრმა რამდენიმე დღის ნამუშაური წააკოს. ამასთან უზომოთ თვრება, მეორე დღეს ვეღარ მუშაობს და ფიზიკურადც სუსტდება.

ვინ უნდა გამოაყვანოს ამ მდგომარეობიდან, ვინ უნდა დააყენოს კეთილ გზაზე, ვინ უნდა ითავოს ეს საქმე თუ არა თელავის ინტელიგენციამ წარმოდგენების, გასართობ სადამოების და კითხვების მართვით, მაგრამ...

თელავში სახალხო თეატრის სექცია შესდგა, რომლის კეთილი მიზანი იყო მდაბიო ხალხისთვის წარმოდგენების და კითხვების მართვა, მაგრამ მათ ეს საქმე არ განუხორციელებიათ.

მართალია ათასში ერთხელ გამართვენ ხოლმე იათუასიან წარმოდგენებს, მაგრამ მდაბიო ხალხს ძრეელ ნაქლებათ შეხვედბა იქ კაცი, რადგანაც 20—30 კაზ. გაღებას წარმოდგენის ხანაში ერთ ჩარეჭა ღვინოსა რჩეობს.

აი ასეთია დღეს აქურ ნაქართა და შაკირდთა მდგომარეობა, რომელთა ცხოვრება აუნდალებელ გაუმჯობესებას თხრულაობს, მაგრამ...


შინთ-კახელი.

**ს. აბანოეთი** (რაჭის მაზრა). დიდი ხანია მე მინდოდა ცოტა რამ შეთქვა ჩვენებურ აბლაკატებზე, რომლებიც სამარცხვინო მატურაობით ზირიდან ლუკმას გლეჯენ საწყალ სოფლის ხალხს. სოფლის აბლაკატთა საუკეთესო წარმომადგენელია ბატონი ილია ნიკოს ძე ნამკლადე, სოფ. აბანოეთის მცხოვრები, რომელიც სოფლის უბრალო დურგალია, მაგრამ თვისი გაიძვირების წყალობით ამ ხელეობისთვის მიუმატნია ეს ზრთვესიაც.

ბატონი ილია ნ. ნამკლადე ჯერ სულ უცნობია მკითხველისათვის და შეიძლება არც ეინტერესებოდეს მასზე დახარაკი, მაგრამ საკმაო მისი გმირობის დახასიათება, რომ მკითხველმაც ცხდათ დაინახოს ასეთ ვაფბატონთა თავგასულობა. აი ერთი მაგალითი მისი გმირობისა.

სოფ. გორისუბანში მცხოვრებს სონია ფოფხაძისა (ვაწადის ასულს) სოფ. ჩორჯოში მამისეული მამული და სხვა ქონება ქონდა, რომელსაც აპეუნია ზატრანებდა, და თავისუფლათ ფლანგავდა ობოლთა ქონებას, რეგულარულ ხშირათა ჩვენში. სონია ფოფხაძისამ მობინდობა აპეუნის გამოცვლა და ანგარიშების მოთხრვა, მაგრამ ამათისთვის საჭირო იყო ისეთი კაცი, რომელიც არ დაინარებდა და საქმეს გამოეკიდებოდა, აქ გამიტურა ბანი ნამკლადე, ივისრა საქმე, რისთვისაც გასამრჯელო მობითხვა, და სონია ფოფხაძისა შენარდა, თუ კი ბ. ნამკლადე საქმეს გაათავებდა. ნამკლადემ მიმართა მამასახლისს, რომ გამოეცვლა აპეუნის; მას ზასუნათ მიიღო, რომ თუ

რუსეთის ცხოვრება.



კი სინაის სურდა ობეკუნის გამოსვლა თვითონ განაცხადებდა და შემდეგ საზოგადო ურილობა გამოსცდის. რა კი დაატო ბ. ნამგა-  
ლაძემ, თუ განხილვით მოქმედებდა ბუგრს ვეღარ ატყუებდა, ამი-  
ტომ იხმარა ხრიკები. სხამ საქმის გარამეობის ახსნის მაგივრათ  
მოსთხოვა ფოფხაძისას გასამრჯელად მიცემის პირობა რაზედაც ად-  
ვილათ დაითანხმა კიდეც. დაწერა თვითონ პირობა რამელშიაც გა-  
ტარა ისეთი აზრი, თითქმის ფოფხაძისას ნამგადაძისას მართებდეს  
30 მანეთი, რაშიაც ფოფხაძისას აძლევს ხარჯის დღიდან ხელწერი-  
ლის დაწერისა. მას კი წაუკითხა ისე, თითქმის ხორგო უნდა წაქდო-  
იმ შემთხვევაში თუ საქმეს გაათავებდა ძველს ობეკუნთან და ჩანე-  
ულ ანგარიშებს ამოიკეტდა. რადგანაც ქალი უფიცი იყო, ამიტომ  
დასჯერდა თვით ნამგადაძის წაითხულ პირობას და ხელი მთავრად  
ისეთ ხელ წერილზე, რამელშიამ სინაის გასწავრებულ საქმეებზედ  
კრინტიც არ იყო დაძრული, რა კი პირობა ხელში მოიგდო ბ ანმა  
ილია ნამგადაძემ მოკურცხლა სოფლიდან, რამ საქმე თავიდან აქო-  
რებია და დაბრუნდა მას შემდეგ, რაც თვით საზოგადოებამ ობეკუ-  
ნიც გამოსცვალა უიმისათ და სხვა საქმეებიც გასწავრა. ილია ნი-  
კას ძემ ნამგადაძემ, პირობის დაწერამდის გამართვა ფოფხაძისას  
12 მანეთი: „სარჯებისთვისაა სანტიროფო“. შემდეგ კი რცა დაბ-  
რუნდა პირობის ძალით ხორგო უნდა წაქდო, რამ საწყად ქალს  
ხეწნა მუდარით 10 მანეთათ არ დაერებინა, აი რა ტყუილა უბრა-  
ლოთ წაიღო ფულები და რა ხრიკები იხმარა თავის მსხვერპლის  
გასატყუებლათ. ასეთი მაგალითებს ბუგრს დაუასხელებდი ნამგადაძის  
ვაჟ კაცობიდან, მარა მეტათ მიმანია. ასეთ ვაჟ ბატონებს, მხოლოთ  
ბრმა ხალხში შეუძლიათ ფარფალი.

„დიდი კურიერი“

**სოფ. ლანიანი** (ქუთაისის მაცხა). დადგა გასაფხული და  
ათასწიანათ ირთვება ბუნება. ამასთან გამოყვამ მუშა ხალხი შთელი  
წლის სარჩის მისხმეველათ. მხოლოდ ძალიან გვაფიქრებს კარდა-  
შეტეპული გვაღვებო. გასულ წელს თუ ამ დროს დათესილი იყო  
საყანე მიწა, წელს არც მოხნულია. ანრილის თვე ისე გავიდა, რი-  
განბი წვიმა არ გვდინებია. ახლა არ ვიცი რას მოგვიტანს  
შინა. ჩვენ სოფელში ძალიან გასძირებულია ავთმუოფობა, მარა  
რიგანბი დახმარება განსაკურნებლათ არ მოგვეპოვება. მოკლე მანძილს  
ვერ გაივლით, რამ სახლის კუთხეში არ ხახოთ საბანწამხურული  
ჯოხით ხელში აძიკიკებული ადამიანი. სამაგიეროთ ესლა ძალიან  
ფაციფუტია ჩვენი ქეიმბაშები და შეითხვები, რადგან სახატრელი  
დრო დაუდგათ. ერთხანს მოკრეუენ ბაღას-ბუღასხს და შეხავებულს  
აძლევენ ავთმუოფებს. რადესაც ეს წამლობა ვერ შევლის, შემდეგ  
გამოაქვთ ურეცეტოთ წამლები მახლობელ დაბის აფთიაქიდან. ამ  
უთავობლო წამლობაში ავთმუოფი ემშვიდობება წუთისოფელს. სო-  
ფელში არსებობდა აფთიაქი, მაგრამ დაიხურა უსახრობის გამო.

ჩვენსკენ აბრეშუმს ჯერ კარგი პირი უჩანს, მხოლოდ არ იქნა  
და ვერ შევევება ფრთები ჩარჩ-ვაჭრების უწესო მოქმედებას. ბუგრჯერ  
თქმულა და დაწერილა ურჩხად-გასეთობაში სოფლის ჩარჩ-ვაჭრების  
ადვირწახსნილობაზე, მარა მანც არა ეშველარა. ჩვენ რაგორც  
გადმოგვცეს, კავკასიის შეპბრეშუმეთა სადგურს სოფლებისათვის დაუ-  
თმია მისხალი გრესა ორ აბაზათ. ჩარჩებს ჩაუჭიდებიათ სოფელე-  
ბისთვის ხელი, ეუბნებიაწ წელს თესლი ძალიან ცოტაა, თითქმის  
საყილათ ვეღარ ვშოგულობთ და თუ გინდათ ჩვენგან იყიდეთ, თუ  
არა ხელცარიელი დაჩრებით. შეიღმისწლიან უუთს თათხმეტი აბაზის  
მაგივრათ ოთხ მან. და ათ შაურათ ფასობენ. რადგან ბუგრი გლეხი-  
სთვის ძნელი მისახერხებელია ეს ფული, ამიტომ აძლევენ სამესამე-  
დოთ, მხოლოდ გაიღვის ნებს არ აძლევენ თვით ხარკის მომწვეს  
და თვითონ ჩადის ფასათ იგდებენ ხელში გლეხის ნაწვავ-ნადაგს.

მ. ფრანგი.

გამოცხადდა შინაგან საქმეთა მინისტრის ციურული რე-  
გუმენატორების, გრადონაჩალნიკების და ურეც-პოლიციისტი-  
რების მიმართ: „6 და 7 აპრილს, ქალაქ კიშინევიში, აღგი-  
ლობრივ მცხოვრებთა ბრბომ, უმთავრესად უბრალო ხალხი-  
დან, მოახდინა უწესოება, მიმართული ებრაელების წინააღმ-  
დეგ. 45 ებრაელი მოკლულ იქნა ან გარდაიცვალა ცემისა-  
გან, 74 მძიმედ იქნა დაჭრილი, 350-მდე მსუბუქად. უწესო-  
ების დროს გაძარცვულ იქნა 700-მდე სახლი და 600-მდე  
დუქანი. ამის გამო მოხდენილ გამოძიებიდან სჩანს, რომ  
უწესოება გამოიწვია ბესარაბიის გუმენიაში ქრისტიანთა და  
ებრაელთა შორის გამწვავებულმა ურთიერთობამ, რის გა-  
მოც ყოველი ცრუ ხმა ებრაელების შესახებ საქმარისი იყო  
აელღვებინა ხალხი. ასეთ მიზეზად გამოდგა ცრუ ხმები, ვი-  
თომც დუბოსარსა, კიევის და თვით კიშინევიში ებრაელებს  
ქრისტიანები მოეკლათ სარწმუნოებრივის აზრით. ამგვარ ქო-  
რის გაერცლებამ გამოიწვია ის გარემოება, რომ მარტის და-  
მღევსა და აპრილის დასაწყისს კიშინევის მუშათა და და-  
ბალ ხალხს შორის დაიწყეს ლაპარაკი ებრაელების აკლების  
საქიროებაზე. ამავ დროს ხალხში დაბეჭდილი ფურცლებიც  
გაავრცელეს, რომლებითაც ხალხს იწვევდენ ებრაელების  
ამოსაქლეთად წმ. აღდგომის პირველ დღეს. 6 აპრილს, ჩუ-  
ფლინის მოედანზე, სადაც უნდა გაეხსნათ სხვა და სხვა ხალ-  
ხის გასართობი, დიდძალმა ხალხმა თავი მოიყარა; ხალხს არა-  
ჩვეულებრივი არაფერი ეტყობოდა. ნაშუადღევს 4 საათზე ვი-  
ლაც ქრისტიანი ქალი ბავშვით ხელში ჩაჯდა კარუსელის ურემ-  
ში; კარუსელის პატრონ ებრაელს არ მოეწონა ქალის საქ-  
ციელი, გამოაგდო და ხელი ჰკრა, რისგანაც ქალი ბავშვი-  
ანათ წაიქცა, ამ შემთხვევამ გამოიწვია უწესოება. გაბრაზე-  
ბულმა ხალხმა ქვა დაუშინა მეზობლად მდგომ ებრაელთა სა-  
ხლების სარკმლებს. შემდეგ უწესოება ატყდა სხვა ქუჩებზე-  
დაც; ხალხი გაიფანტა ქალაქის სხვადასხვა უბნებში და აკ-  
ლებდა დაუწყო ებრაელების სახლებსა და დუქნებს- ამათ მი-  
ყვენ სხვებიცა, რომელთაც დანგრეულ სახლებსა და დუქ-  
ნებს ძარცვა დაუწყეს. სწრაფად მოდებული უწესოება ვეღარ  
შეაჩერეს და ისე გაძლიერდა, რომ საღამოს ხალხმა თვით  
ებრაელების ცემა და ქლეთა დაიწყო, ასე რომ საღამოს 6  
საათზე უკვე 9 ებრაელი მოჰკლეს. მეათე საათზე უწესოება  
შესწყდა. მეორე დღეს კიშინევის ახალ მოედანზე თავი  
მოეყარა ებრაელებს, რომელნიც ჯოხებით იყვენ შეი-  
არღებულნი; ესენი თავს დაეცნენ იქვე მყოფ ქრი-  
სტიანთა პატარა ჯგუფს. ეს შეტაკება ჩქარა შესწყდა, მა-  
გრამ მოედნის მეორე მხარეს მაშინვე შეჯგუფდნენ ებრაელები  
და ისევ თავს დაეცნენ ქრისტიანთ; ებრაელებიდან ვილა-  
ცამ რევოლვერი გაიხროლა და ერთი ქრისტიანი დასჭრა.  
ამის შემდეგ მთელს ქალაქს მოედო აელღვება და დაიწყეს  
ებრაელების ქლეთა და მათის სახლების დანგრევა. წინაღვე  
დაყენებულ ჯარისკაცთა რიცხვი წესიერების დასაცველად  
ცოტა აღმოჩნდა და გამოიწვიეს ახალი რაზმები; ამასთან ქა-  
ლაქის დაცვის საქმე გუმენატორმა სამხედრო უწყებას გა-  
დასცა. პირველად გამოწვეულმა ჯარმა წესიერება ვერ აღად-  
გინა, რადგან პოლიციის დაუღვერობით ქუჩები ავსებული  
იყო არა მარტო უწესოების ჩამდენელთაგან, არამედ მრავალ  
ცნობის მოყვარეთაგან. შემდეგ, როცა ჯარებმა ქუჩები შეჰ-  
კრეს, საღამოსთვის არეულობა მოიპოო და მეორე დღეს  
აღარ გამეორებულა. კიშინევიში მომხდარ ამბებმა გამოიწვი-  
ის ხმა, ვითომც იმპერიის ბეერ ადგილს მოხდებო ებრაელე-  
ბის აკლებოა. ზოგიერთ ქალაქში ებრაელებმა დაიწყეს თავ-  
დასაცველ ჯგუფების შედგენაც.

ჩემის უქვემდებარეობის მოხსენების შემდეგ, რომელიც შედგენილი იყო პოლიციის დეპარტამენტის დარეგისტრირების მიერ შეკრებილ ცნობების მიხედვით, ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება კვლავ გამოეცხადოს გუბერნიების და ქალაქების უფროსთ, რომ მათ ევალეზა, მათისავე პასუხის გების ქვეშ, ყოველი ღონე იღონონ ძალმომრეობის ასაცდენად და ხალხის დასამშვიდებლად, რათა მცხოვრებთა არც ერთს ნაწილს შიში არ ჰქონდეს აკლებსა. ვაცნობებ რა თქვენ აღმატებულებას ამა უმაღლეს ბრძანებას, მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს ვაგუწყოთ სახელმძღვანელოდ: პირველად, რომ არავითარ თავის დასაცველ ჯგუფების შედგენა შეწყნარებულ არ იქნას და, მეორედ, რომ სამოქალაქო მოხელეთ, კანონთა მე-11 ტ. 1316 მუხლის, მე-15 და მე-16 პუნქტების თანახმად, უფლება არა აქვთ წესიერების აღდგენის საქმე სამხედრო უწყებას დაელონ; არამედ მოვალენი არიან, უწყისობის აღვიღებ დასწრებით, თვითვე უხელმძღვანელონ პოლიციასა და ჯარს უწყისობის მოსაბაში. ამ დადგენილებათა აზრის თანახმად, ხელმძღვანელობა სამხედრო უწყების ხელში გადადის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უკიდურესი მდგომარეობა მოითხოვს ჯარებისაგან იარაღის ხმარებას“.

— გაზეთებს „პრავო“-სა და ვოსხოდ“-ს, მანვე მიმართულების გამო, პირველი გაფრთხილება გამოეცხადათ.

— გაზეთ „ბეტერუგ. ვედ.“ წერენ კიშინევიდან: ებრაელებზე თავდასხმამ, მათი ცოლშვილის გაუხატურებამ მთელი გუბერნია ააშოთა. ყველა გაცრებულა, როგორც მხდა, რომ კიშინევი, სხვა მტნორებლები ცნობილია, როგორც მშვიდობის მოყვარული ხალხი, და სხვა რუსებსა და ებრაელებ შორის მშვიდობიანი განწყობილება არსებობდა, და ყველა გინიერი ადამიანი ამბობს, რომ ეს სულ კრუშევანის გაზ. „ბესარაბეცის“ რედაქტორის საქმეა, რომელიც ექვსი წელიწადია ქადაგებს ჯვარსახით ამ ებრაელების წინააღმდეგ. ადვოკატის წინეთ ორი-სამი კვირით ქადაგები დადიოდა ხმები, რომ ადვოკატს მოსალოდნელი იყო ებრაელებზე თავდასხმა. ებრაელებმა მიმართეს, სხვა ჯერ იყო, და ხსუსათ მიიღეს, რომ ყოველი ზომები მიღებულია და მათ შეუძლიათ უზრუნველყოფილი იყვენ თავდასხმისგან. 6 აპრილს 2 საათზე ბრბო, ინტელიგენტ მეთაურთა წინამძღვრობით, დაერია ებრაელებს, ამტარებდა ფანჯრებს და სხვა. ებრაელებმა ისევ მიმართეს, სხვა ჯერ იყო, მარა მათ იქ ან არ უშვებდენ, ან უხსუსებდენ, რომ დამცველი რაზმი გაგზავნილია. მთავრობის ასეთი უმოქმედობით შეამბოხენი გათამამდენ და დაუწყეს რბევა ებრაელთა დუქნებს და სხვა-კარებს, მხოლოდ მესამე ნაწილის ზრისტავმა უხიციამ მიიღო ენერგიული ზომები და დაიწვა თავის ნაწილი დარბევისგან. ერთი რკინის მაღაზიის დარბევის შემდეგ, რომლის ზატრინი ებრაელი იქვე მოკლეს, ბრბო დაეხვია ებრაელებს, ებრაელებმა იქვე მყოფ პოლიციის და ჯარს მიაშურეს, მარა ისინი გულგრილათ უტყპრდენ მათ ფლტას და ურჩი არ ათხოვეს. ებრაელებს ხოცდენ სხლეებში, ქუჩებში და სარდაფებში, აკლებდენ კანკიდან და იქვე კლავდენ სხვაკადრების თვალწინ. ზოგს მოკლულს იქვე ჩამოკიდებდენ. ბრბომ კინაღამ მოკლა ექ. შტერნი, რომელმაც შემწეობა აღმოუჩინა დაჭრილ ებრაელს. ბევრი ინტელიგენტი ებრაელი გადაარჩინა დოქტორ დორნ-შევსკიმ და მკათეთქემ ღინკამ. ებრაელებმა რა ხსუსეს, რომ პოლიციის არ ეხმარება, მიმართეს ტელეგრაფს, მარა ყველგან უარი უთხრეს ტელეგრაფის მიღებაზე. მაშინ დოქტორმა მუხნიკმა სადგ. მირნიდან გაგზავნა ბეტერუგში დეპუტა, 8 აპრილს ქადაგები გაძლიერებული წესები გამოაცხადეს და მშვიდობიანობა აღდგენილ იქნა. დაიწეს მძარცველთა შეზღუდვა. დაჭერილია 1,000 კაცადე. ბევრს უბოვეს ებრაელებისგან მოტაცებული ქანება. გამოირკვა, რომ ებრაელების წინააღმდეგ მოქმედებდენ წინეთვე მომზადებული ხოცვა

მტარვალთა, ზოგიერთ ინტელიგენტ უხადების მეთაურობით. მტარვალები სსსტიკათ აწამებდენ უდანაშაულო ებრაელებს. ერთ ებრაელს მისივე ხეხით მოხერხეს ხელი, ერთს მუცელში უხადეს, სხვანული გადმოუყარეს და შიგ ღინდლი ჩაყარეს. ერთ კაცს თავში ლურსმები შეატყვეს. ისეთი მხეცობა ჩაიდინეს, როგორც ჯერ არ უხსავს ქვეყანას. მიუხედავად ამისა, რომ შეამბოხეთ იტურენ, აგიტატრების სოფლათ აგენტები გაუგზავნათ, ბრძანება გამოვიდა, ებრაელები გაუფიტეთ. ბევრი მათგანი სოფლის მოხელეთ დაუტყრათ.

— კიშინევიში მომხდარ ამბების შესახებ სწერენ „ნოვოსტ“-ში: როდესაც კიშინევიში გაძლიერებულ დატვის წესები შემოიღეს, წესიერება დაშურდა. ჯარს ებრძანა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს, მაგრამ ებრაელთა აკლების ამბავი მალე მთელ გუბერნიას მოედო. ყველა კუთხიდან დეპუტა-დეპუტაზე მოსდიოდა გუბერნატორს: სთხოვდენ ჯარი გაგზავნა, რადგან ხალხი თავს-დასაცემათ ემზადებოდა. ყველაზე სსშიმ ადვილად მიანხდათ კადარში, სხვა ბასარი უნდა გაემართათ. დაუფრებელი ჯარი გაიგზავნა, საღამოთა იქიდან დეპუტა მოვიდა. იუწყებოდენ, რომ ჯარმა ნება არ მისცა ებრაელების აკლებისა. სხვა დაბა-ქალაქებიდან დეპუტატები მოვიდენ შემწეობის სთხოვნილათ. მიღებულ ზომების შეხებით თავდასხმა მასრში არსად მომხდარა სოფ. ბანოის გარდა, სხვა მიწასთან გასწორეს რამდენიმე ებრაელის ოჯახი და მოკლეს ერთი დედაკაცი. ეს დედაკაცი კიშინევიში სტნორობდა, ადვოკატ დეეს იმისი სხლი აკლეს და კინაღამ თვითონაც არ მოკლეს. ამიტომ იგი ბანოში გაიქცა, მაგრამ იქ ვეღარ გადაარჩა სიველილს. ბანოში დაანტიმრეს 40 კაცი, თვით კიშინევიში აკლების დეეს პოლიციამ ძლიან ცოტა ხალხი დაანტიმრა. დაანტიმრებას შეუდგენ მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ. ბრალმდებელმა აუარებელი სხივარი და თხოვნა მიიღო დაზარალებულთაგან. შეუდგენ სხლეების ჩხრეკასაც. ბევრგან მთელი სსწეობები ხსუსეს მომხრულ საქანლისა. ზოგნი მაღაზიებიდან გატანილ ახალ ტანისმოსში გამოწეობილიყვენ და დილით საღამომდე ტრატორებში ქეიფობდენ, ბევრი საქანელი, რასაკვირელია, დამაღეს. მამაკაცებთან ერთათ დედაკაცებიც დაანტიმრეს. აღმოჩნდა, რომ ისინი მამაკაცებზე ხაკლებ მხნეობას არ იხილენ ებრაელების აკლებას გაძარცვსში. მონაწილეობას იღებდენ აგრეთვე მოსწავლენი და ინტელიგენტნი, რომელთა შორის ორიადე ადვილობრივი „მოღვაწენი“ კი აღმოჩნდა როგორც ვუწეით, დაზარალებულ ებრაელთა სსსრგებლათ ფულის შეკრებას შეუდგენ. ბევრს შემწეობას უსსელი წერილები მისდიოთ; ემუქრებიან, ფულს ხე სწიროვთ, თორებ ინანებთ“.

კიშინევიდანვე „ბეტერ. ვედომ.“-ს სწერენ: „გაზეთი „ბესარაბეც“-ი თავისას არ იშლის. ამ გაზეთის სულის მამდგმელი ეხლაც, ებრაელების აწიოკების შემდეგ, თითქმის ყოველ დღე ათავსებს წერილებს ამ ტანჯულ ხალხის წინააღმდეგ. პირველათ დაიბეჭდა გაზეთში წერილი ვილან „ვიინ“-ის, რომელიც ამბობდა, რომ „ამგვარი ძარცვა-გლეჯა და ხალხის ყლტა ჩვეულებრივი მოვლენა მთელს რუსეთში: აქ ფლტებენ ებრაელებს, იქ—თათრებს, მსკაცრში—სტუდენტებს და ასე ყოველ დღე. ყველა ეს შედეგია იმ სიძულილისა, რომელმაც ებრაელების ძლიმმრეობის გამო ტანჯულ ქრისტიანეთა გულში დაიბუღა“. მორე დეეს გაზეთმა მათავსა წერილი ქრისტიანის ბავშვის დაკარგვის შესახებ. ნათქვამი იყო, რომ ბავშვი ბაქულის თანაშემწე დობროსლესკიმ ბასარში ხსა; ბავშვს ებრაელები შემოხვედენ და აბრალებდენ ერთი დუქნიდან ღიმინის მომხრვას. სხვ დაიკარგა ეს ბავშვი, ბაქულის თანაშემწემ არ იცის, უმატებს ბოლოში გაზეთი. რად თქმა უნდა, გაზეთი ებრაელებს გულისხმობს. სხვა დროს ამ შენიშვნისათვის იქნება უურადდება არ მიექციათ, მაგრამ ეხლა, როდესაც ებრაელთა აკლება ყველას ასე ადვილ საქმედ მიანხია, ამხიარ ჭარების გავრცელება სსხიფათათ. თუმცა ორმა კვირამ გაიარა ებრაელთა აკლების შემდეგ, მაგრამ ქადაგი ჯერ კიდევ ცარიელია. ზოგიერთ ქუჩაზე ხალხის ჭკანება არ არის. ქადაგის



შუაგულსა და განაზიარა უბნებში აუარებელი სადგომია ცარიელი. მსხვერპლი ბევრათ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე წინათ ეგონათ. 16 აზრიდამდე ებრაელთა სასაფლაოზე 44 კაცი დასაფლავდნენ. ავადმყოფთა რიცხვი 400 კაცს აღემატება.

ამავე გაზეთის მეორე კორესპონდენტი სწერს: „საჭირთა კაც-მა ებრაელთა სასაფლაოზე კვირის, რომ გულისა და სულის ამძღვრევი სურათები ნახოს. აი, მაკალითათ, სამის ქალის გვამი. ერთს მუცელი ჯვარდინად აქვს გაჭრილი, მეორეს ცხვირის ნესტოებში გრძელი ლურსმები აქვს გაჭრილი, მესამეს გული აქვს ამოჭრილი. აი, კიდევ მკვლელის გომნაზიელის გვამი: სწულისთვის ენა ამოუჭრათ. ექიმმა, რომელთანაც ბირველად დასველებულ-დაჭრილი მი-იყვანეს, მითხრა: ერთ ებრაელისთვის ჯერ ტუჩები მოკლათ, მერე გახით ენა ამოკლავდათ. ერთი ფეხშიძე დედაკაცი დაესვათ სკამზე და დიდი კეტები დაეშინათ მუცელზე. ბევრი ბავშვი მეორე და მეორე სათრუდიდან გადმოკვდით და სხვა“.

— კონსტანტინის საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა შუამდგომლობა ადრესს სახელმწიფოს მიერ ქარხნის მუშათა დაზღვევის შესახებ. მუშები უნდა დასაზღვიონ ავთომოტორების, სიკვდილის და უადგილობის შემთხვევათათვის. საგუბერნიო ერობის პრეკტით, დასაზღვივ ფინანსის შედგენაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ხაზინამ, მრეწველებმა და თვით მუშებმა.

— ქალების ერთმა ჯგუფმა, რომელთაც უმაღლესი სამკურნალო კურსები გაათავეს, შუამდგომლობა ადრესს, რომ ნება მიეცეთ ეგზამენი დაიჭირონ მედიცინის დოქტორის ხარისხზე.

— ბეჭდვითი საქმის მთავარ გამგებთან ფინანსიანდაში გაუფრთხილებია გაზეთი „სოუმენ სანამისი“, რომელიც ქალაქ ვილმანსტრანდში იბეჭდება.

— უმაღლესის ბრძანებით მდგომარე სამსწავლო წლიდან გა-აუქმეს ფინანსიანდაის კადეტთა კორპუსის უმთავრესი კლასები. კორპუსიდან მოსწავლენი ამიერიდან უნდა გადაიყვანონ რუსეთის უმაღლესს სამხედრო სასწავლებლებში. ვინც არ მოისურვებს გადასვლას, იმას სრულიად დაითხოვენ.

— „გუბერნიისტი ოდეს. გრადხან.“-ში დაბეჭდილია შემდეგი: „ზოლიტიციისტიკის მიერ წარმოდგენილ ცნობებით, ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტებს: გრიგოლ ლორთქიფანიძეს, აკაკი ქორქაშვილს, ალექსანდრეს ქორქაშვილს, ვასილ წერეთელს, ალექსანდრე არაფაილოვს, ალექსანდრე ჩიკვაიძეს და ივანე ეკსარეუს დაურდვევით 1902 წელს გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი, რომლის ძალითაც აკრძალულია წესიერებისა და მშვიდობიანობის დამრღვევ კრებებსა და ყრილობების მოხდენა ქუჩებსა, მოედნებსა, ბაღებსა და სხვა ადგილებში. ამის გამო ოდესის გრადხანისტიკის თანამდებობის აღმასრულებელმა, გაძლიერებულ დაცვის დებულების თანხმად, დაადგინა: დასაზღვიებელი დაჯარიმებულ იქნენ თითო 150 მანეთით; თუ ჯარიმას ვერ გადაიხდიან, 30 დღით დაპატიმრებულ იქნებიან.“

— სარატოვის გაზეთებში გამოცხადებულა ადგილობრივ გუბერნატორის შემდეგი სავალდებულო დადგენილებანი: 1) სარატოვის გუბერნიისში მთავრობის ნება დაურთველათ ადვოკატულია ფორულგარო კრება და ყრილობა; 2) სასტიკად ადვოკატულია ზოლიციის საქმეებში ჩარევა—არავის უფლება არა აქვს ხელი შეუშალოს ზოლიციის სამსახურის აღსრულების დროს; 3) შეკრებულნი ვალდებულნი არიან ზოლიციის მოთხოვნილებისთანავე დაიშალონ; 4) ვინც ამ სავალდებულო დადგენილებებს დაარღვევს, აღმინისტრაციულია წესით დაი-სჯება: ან ჯარიმა გადასდება 500 მანეთამდე, ან დაპატიმრებენ სამ თვემდე; 5) ეს განცხადება უნდა დაიბეჭდოს გაზეთებში და გაიკრას ქუჩებზე, სოფლებში უნდა წაკითხოს სოფლის ყრილობებ; 6) სვა-ლდებულა დადგენილებანი ძალაში შევა გამოქვეყნების დღიდან. გუბერნატორი სტოლიპინი“.

— გრაფ. დ. ტოლსტოის კომინიის იმ ებრაელთა სასარკე-

ბლათ, რომელნიც გახდენ მსხვერპლი ქრისტიანების მიერ დაწი-ბისა, შეუწირავს 15,000 მანეთი.

— 11 აზრიდს, რსტოვის ოლქის უფროსმა გამოცხადებულა დადგენილებანი: 1) ადვოკატულია კრებები, რომელთა დადგენილებანი, რომელსაც მშვიდობიანობის დამრღვევა მოსდევს; ადვოკატულია აკრებები ქუჩებში შეკრება და განკრება; 2) ზოლიციის მოთხოვნილებისთანავე შეკრებილი ვალდებულნი არიან დაიშალონ; 3) თუ ხალხი ზოლიციის ბრძანებს არ დაემორჩილება ან ქუჩაში უწესობას მოახდენს. ჯარი იქნება დასარბული, რომელიც წესიერების აღსადგენათ იარაღს იხმარს; 4) დამნაშავენი დაისჯებიან: ან ჯარიმა გადასდება 500 მანეთამდე, ან დაპატიმრებულ იქნებიან სამ თვემდე.

ს ა ზ ლ ვ ა რ - გ ა რ ე თ

**ბალკანეთი.** მაკედონიის მდგომარეობა დღითი დღე უფრო მწვავედება: ამბოხება უფლებან—სოფლათ და ქალაქებში. ამბოხებას ხელეწიან როგორც მაკედონელი ბელგარელები, ისე სერბები. წინეთ კი მარტო ბელგარელები იღებდნენ მონაწილეობას, მარა ხალა, რაც სერბებმა ნახეს, რომ მათ მოძრაობას მიზნათ აქვს მაკედონიის განთავისუფლება ოსმალთა მტარვალობიდან, ისინიც მუუეროდენ აჯანყებულთა გუნდს. მთავრობა ოსმალეთისა თავს არა ზოგავს, რომ როგორმე თავის სულთმობრძავი ბატონობა შეინარჩუნოს და უფველ შემთხვევაში ცდილობს გააკრძალოს მისი დღე. მთელი მაკედონია სამხედრო ბასაკათ არის გადაქცეული, უსარმები ჯარისკაცებით არის გაჭვდილი; უფლებან ჯარისკაცებისა და უნდადამების სადარაჯო რაზმებსა ხედავ; სოფლებსა და ქალაქებში არ დაჩქინილა ისეთი ადგილი, რომ არ გაქნობაკათ; საპატიმროები, საიდანაც ამინსტიის ძალით ხალხან გამოუშვეს ზოლიტიკური დამნაშავენი, ისევ აივსო ბელგარიის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებით. იჭერენ უფლებს, ვინც კი მოხვდებათ, განსაკუთრებით სოფლის მასწავლებლებს, აგენტებს, მუშებს და სხვა. ხალხი უფლებან მეტათ აღეგებულა, შინ ვეღარავის გაუძლია, უფლებს იარაღში ჩამჯდარა და აჯანყებულთა რაზმში ერევა, რომელიც მთებშია უმთავრესათ მიმალული. იქიდან ისინი ხშირათ დაემგებიან სოფლისაკენ, თავს ესხმიან იქ მდგომ ოსმალთა ჯარისკაცებს. უფლებს ერთი მიზნით არის გამსჭვალული, ერთი იდეით შეზერობილი. უფლებსა სურს მტარვალთა შურისძიება, დატანჯული სამშობლოს განთავისუფლება. ამიტომ მათი მოქმედება სამიში გამანადგურებელ კვალს სტოვებს. ასეთია, მაგ., სოფლის აფეთქება, აკრებები კონსტანტინებოლში უმბარების სოფლს. ასეთი ამბები მარტო ისეთ სახელმწიფოში შეიძლება, სადაც მთავრობა უფველ ადა-მიანობას მოკლებულია და ისე მტარვალურათ, უსინილისათ, უსირცხვილოთ ტანჯავს და აწამებს თავისუფლებისათვის მებრძოლ მცხოვრებლებს, რომ უფლებს პატიოსან ადამიანში ზიზღს და სიძულვილს გამოიწვევს. ოსმალეთი კი უურსაც არ აბრტუნებს, თუმცა სოფლის ამბებმა დაგვიბტიცეს, რომ დამხალ შენობის ხელოვნურათ შენახვა შეუძლებელია, განწინილი წეობილების დაცვა მოუხერხებელია, მათ გვიჩვენეს, რომ ოსმალეთს არ შეუძლია მაკედონიის დამშვიდება, მისი დაკმაყოფილება და რამდენიც უნდა ოპტიმისტურათ უნქირონ ევროპის დიპლომატებმა ამ საკითხს, მაინც ვერას გახდებიან, ისტორია დიპლომატთა ნებას არ ემორჩილება, ის თვითონ თხოვლობს მათგან მორჩილებას. ნეიტრალიტეტის დაცვა იმ აზრით, რომ ოსმალეთი თვითონაც შესძლებს მაკედონიის საქმეთა მოწესრიგებას, უბრალო ოცნებაა. უფრო სთფიქრებელია შემდეგი კომბინაცია, რომელსაც ზოგი გაზეთები გამოთქვამენ: ოსმალეთი დიდი ეჭვით, თითქმის მტრუდათ უფურებს ბელგარიის სახელმწიფოს, მის საზღვრებზე აუარებელი ჯარი ყავს მოკროვილი და მუდამ მზათა საზღვარი გადალახოს. ბელგარიის ხალხი აღეგებულა ოსმალთა მოქმედებით. მარტოში კიდევ ოსმალნი ზიზღით იხსენიებენ ბელგარიას, ჯარი



ეროვნული  
დემოკრატიული  
პარტია

ეს გაზაფხულის ბუკია  
და ქარის ამონაკვეთი!

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ც ა ზ ე

თხულობს ბრძოლას. ადვილი შესაძლებელია მათ შორის ომი ატუ-  
დეს და მაშინ ვერცხის მიერ ნეიტრალიტეტის დაცვა შეუძლებელი  
შეიქნება. ის უსათუთ უნდა ჩაერიოს საქმეში და მაკედონიასაც შე-  
იძლება კრიტიკის ბედი ერგოს.

აჯანყებულთ შესახებ უფრო დღე ახალ-ახალი ამბები მოდის,  
შეტაკება თითქმის უფრო დღე ხდება რევოლუციონერთა და ჯარის  
შორის...

კონსტანტინეპოლში ახალ აფეთქებებს მოკლავს. ევგენი სულ-  
ჩოვის მუქარის წერილები მიუვიდათ. დიპლომატები თხულობენ,  
რამ უნდა მიაღწიოს საჭირო ზომები ანა მარტო სფეროში, ანა-  
შედ ევგენი, უცხოელები ბარკს აკრავენ და წასასვლელათ ემზა-  
დებიან... ამასვეთის მთავრობამ შეადგინა შეთქმულთა სია და გა-  
მოდის, რამ სფეროში მცხოვრები ევგენი ბოლგარული უფროდესა შე-  
თქმული. ვინც ბრძანებ იღებს მონაწილეობას აფეთქების საქმეში,  
თითქმის ევგენი დაიღუპა.

ბევრი ხალხი დატუსაძვს უსკიუბში, კეზიულუში, მონასტი-  
რში და სხვაგან. დატუსაძვს შორის ბევრი გაფლენიანი მოქალაქე.  
კონსტანტინეპოლში დატუსაძვს ბევრი ბოლგარული ვაჭარი. ბო-  
ლგარიის მთავრობა ცდილობს მათ განთავისუფლებას. დატუსაძვის  
ხუთასზე მეტი ბოლგარული და რამდენიმე სერბიც, მაგრამ ამით მა-  
ღე განთავისუფლებენ.

ამაღელვ ჯარისკაცებს მოუკლავთ 150-ზე მეტი ბოლგარი;  
ბევრს თვითონ მოუკლავს თავი. მღვდელი სტამბოლი მოკლეს კე-  
კელისაში, სდაც მან თავი შეაფარა.

**შვიტარია.** შვიტარიაში საუურადდებო რეფორმა მოუხდე-  
ნიათ ექიმთა დახმარებით სარგებლობის საქმეში. აქამდის, როგორც  
ჩვენში, უფრო ექიმი კერძო პრაქტიკით ცხოვრობდა და ავთომოფი  
იძულებული იყო თავის ხარჯით მოეწვია ექიმი. ისინი კი, ვინც  
დარბნი და შეუძლები არიან, მოკლებული არიან ექიმის დახმარე-  
ბას. ასეთი ნაკლის გასწორებლათ შვიტარიის ერთ კანტონში ცი-  
ურისში განუხრახნათ შემდეგი რეფორმის შემოღება: კანტონის თა-  
თოეული მცხოვრები 13 წლის ზევით ვადლებულია იხადოს 4 ფრან-  
კი და 35 სანტიმი (1 მან 60 კაპ) და ავთომოფობის დრას  
ისარგებლოს უფასოთ ექიმის დახმარებით, წამლებით, საავთომოფო-  
ფოში სწოლით, ერთი სიტყვით, ევგენით, რაც მასარჩენათ სა-  
ჭირო იქნება. ექიმებს ჯამაგირი დაენიშნება სხვადასხვაგან და  
აღუკრძალვათ გონიერის ადებს ჰაციენტებისაგან.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი.

ცამ დაიგრგვინა, იელა,  
გაჭკრა, გამოჭკრა ნაკვეთი;  
ეს გაზაფხულის ბუკია  
და ქარის ამონაკვეთი!  
იშლება ვარდი, იშლება,  
წყარო ჩუხჩუხებს, ლილინებს,  
გარშემო ფერად დროშითა  
ტყეველი ლალათ ბიბინებს!  
მოდის და მოდის ლამაზი  
სატრფო მაისის დილისა,  
ყელს მოვებვები მძივივით,  
კირიმე მისი პირისა!  
ზამთრის დასაღვეს უთმენლათ  
იმასვე ველოდებოდი,  
გული იმითი ხარობდა,  
იმითვე ვნეტარდებოდი!  
და აჰა ქექა-ქუხილმა  
გაჭკრა, გამოჭკრა ნაკვეთი;

ნადიმი, ვახშამი, მიზატიე-მოზატიეება, ლეკური, დავლუ-  
რი, კახური, სვირული და სხვა და სხვა... ყველა ეს კაცს  
გამარჯვების შემდეგ შეფერის, გამარჯვების შემდეგ შეფერება.  
და რამდენათაც გამარჯვება ძნელი იყო, რამდენათაც მეტათ  
დაუჯდათ იგი, იმდენათ მეტია სიხარული, აღტაცება და აღ-  
ფრთოვანება. ყველა ეს ამ მოკლე ხანში ბათუმმა გადაიტანა  
თვის მოქირნახულე თავზე. იქ იყო ბრძოლა, იქვე გამარჯვე-  
ბა და იქვე გამარჯვების შემდეგ: ტაში ბიჭო! დიან, იმ საი-  
სტორიო თარიღის შემდეგ, როდესაც ბათუმი ანდრონიკო-  
ვის მეოხებით კვლავ გათავიანდა, როდესაც ელიავამ თავი  
დასდვა სამშობლოსათვის და ვოლსკის თეთრი კენჭი მისცა  
ქალაქის გამგეობის საწევროთ, როდესაც კარლოს ჩხეიძემ, მი-  
უხედავათ ქინქარ ვარდისა, დაუნოსა ყველას, განურჩევლათ  
მათი ავკარგიანობისა, ვინაიდან იგიინი ქართველები იყვნენ  
და ამიტომ თეთრი ეკუთვნოდათ ქართველისაგან, როდესაც  
თვით კარლოს ჩხეიძე, ეს ერთგვარი ტიპი ახალი ატომოსფე-  
რისა, თვით ასკუბდა ხელახლა გამგეობის სკამზე, აი სწო-  
რეთ ამ თარიღიდან იწყება დიდი მეჯლიში გამარჯვების შე-  
მდეგ. გვარიანათაც აღნიშნა ბათუმმა ეს ღირს-აღსანიშნავი  
ღღე. წარსულ აპრილის 14-ს შეიკრიბენ ქალაქის მამები და-  
საფიქრებლათ. ფიქრები, რასაკვირველია, სამეჯლიშო უნდა  
ყოფილიყო და მათაც არ გააცრუდეს იმედი თვისი შვილებისა.  
დიდი ტაშის და ცოტაოდენ მოფიქრების შემდეგ გადაწყვი-  
ტეს გააკეთონ „კურხალი“, ე. ი. სახლი, რომელსა შიგან  
ასვენია ბილიარდი, ნარდი, ტრეფი, ჩერვი, პიანინო, დაფა-  
ზურნა, და ყოველივე საკუჭ-სამუცლო. რასაკვირველია, აქ  
უნდა იყვნენ ბათუმის ყვავილნიც, რომელთა თვალები იშლე-  
ბა ზამთარ-ზაფხულ. ერთი სიტყვით, საისტორიო ღღე გაა-  
ხლებულმა გამგეობამ მუსიკით აღნიშნა. და ნუ თუ ამის შე-  
მდეგ გაბედავს ვინმე არ აქოს მათი საქციელი, მაშ რაღა მა-  
მულისშვილები იქნებოდენ, რომ არ გამოეჩინათ თვისი მხი-  
არული სულ-გული, არ დაეარსებინათ ქალაქისათვის სამე-  
ჯლიშო სახლი. ვაშა სულგრძელებასა მათსა, ვინაიდან არ  
დაუვიწყნიათ ჩვენი ძველი ჩვეულებაც და რადგან ქალაქს  
ფული არა ქონია, ჩვეულებისამებრ დაუგირავებით ქალაქის  
უძრავ-მოძრავი. ერთი სიტყვით, ნისიათ თამაშობენ.

ნუ სტირი, „ივგრიავ“, ვინაიდან ხელავ კვლავ ძველი  
ჩვეულების დაცვა-შენახვას, ნუ სტირი ბათუმის ქალაქის საა-  
ვთომოფოვ, ვინაიდან „სალხინოს“ ასაშენებლათ ქალაქმა  
გადასდვა 5 ათასი მანეთი და შენ კი შეგაფარებინა, ისიც  
პირველ სექტემბრიდან, მხოლოდ სამოცი კრავოტი, ნუ სტი-  
რით თქვენც, საავადმყოფოს ფერშობო, არა სცალიან მოქე-  
იფე გამგეობას თქვენთვის, ნუ სტირი ბათუმო, რამეთუ ვოლ-  
სკი „შენ გეტრფის მარადის“, გიგალოზს, კარ. ჩხეიძეს ქმუნ-  
ვარების ფერა გადაუწმენდია და ანდრონიკაშვილს ახალი კა-  
ნონდებულების დავლური შეუსწავლია...

\* \* \*

ხოლო იტირე შენ, ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების სკო-  
ლავ იმავე ბათუმში. მრავალ არიან მტერი შენი და მალე-  
ცა აღსდგებიან შენზედა. გმირნი ესე იგივე გმირნი არიან.  
მათ ბრძოლაც იციან და ქეიფიც. ქეიფის შემდეგ განუზრა-

ხავთ შეებრძოლონ ამ სკოლის ერთს იმ მასწავლებელთაგანს, რომელსაც ამ ორი წლის წინეთ შეებრძოლა თვით წერაკითხვის გამავრცელებ. საზ. გამგეობაც. პირველთა იერიში დღეს ეთანხმება ამ უკანასკნელთა შეტევას, ხოლო შედეგი ღმერთმა უწყის. უპირველესი დანაშაულობა ხსენებულ მასწავლებლისა წ. კ. გ. ს. გამგეობის წინაშე მოწაფენი არიან, რომელთაც სწყუროდათ სწავლა და მასწავლებელმა ვერ უთხრა უარი, საკლიაუზნიკო დანაშაულობა ამავე მასწავლებლისა ბათუმის გამგეობის წინაშე კი ამავე გამგეობის მხიარული გუნებაა, რომელსაც ვერ ეთანხმება ზოგიერთების და მათ შორის ამ მასწავლებლის „მრავალუმიერი“. ერთის სიტყვით, მალე ჩვენ წერაკითხვის გამ. საზოგადოებას დაეხმარება ბათუმის გამგეობა თვისი წადილის ასასრულებლათ. მაშ დეე ორთავე ერთათ შემოსახონ:

მას ვეპტრფით მარად, ვინც რა საბნელებს  
 აგრელებს ხაღსში ჩვენებურათ,  
 მას ვეპტრფით მარად, ვინც შეჯაკუდობს,  
 გამოგვადგება ჩვენ დამურათა.  
 ისევე მას ვეპტრფით, ვინც მხაღად ეგირის  
 მე ქართველი ვარ, ქართლსიანი,  
 ვეპტრფით და ვეპტრფით, ვინც ქართველია,  
 თუ გინდ რამ იუას თავში ბზიანი.  
 არ ვეპტრფით იმას, ვინც გვეურჩება,  
 ჩვენს დაკვილზე არ გაჩუმდება,  
 იცრდეს იმან, მოღალატე,  
 გუდა-ნაბადით გზას გაუდგება!

\* \*

ამავე გუდა-ნაბადის ბედი აწიათ ქიათურის ფაშა-ზღანოვიჩმა ყველა მათ, ვინც არ შეეხმატკბილა მის თვითმპყრობელობას. რამდენიმე მოსამსახურე პირი „შავიქვის ამხან.“ და იქაური ბანკისა დათხოვნილ იქმნენ მისის ცირკულიარით. ბ-ნი ზღანოვიჩი ისე მისჩვევია „ბაღი ადობას“, რომ შესაძლებელია ურჩობისათვის თვით ქიათურამაც კი მალე აიკრიფოს გუდანაბადი სათიმე, თუ ეს ზღანოვიჩის ნება იქნება. ესეც ერთგვარი იარაღი გამარჯვების შემდეგ ჯავრის ამოყრისათვის ყოველ ურჩზე. მაგრამ თვით გასამარჯვებლათ იმავე ზღანოვიჩის სხვაგვარი იარაღიც ქონია. ეს არის სამუდამო შიში და ძრწოლა მის ხატების წინაშე „შავიქვის ამხანაგოზის“ წყვრებისაგან. სწორეთ ინკვიზიციის ქრუანტელი შეყრიათ ამ წვერებს მის არამც თუ დანახვაზე შორიდან, მის ხსენებაზეც კი გული უღონდებათ თურმე. აი რასა სწერს ერთი წვერთაგანი თვის რწმუნებულს „შავი ქვის ამხ.“ დირექტორის არჩევნების შესახებ \*):

„ისე გენდობოდი, როგორც ღმერთს... კარგი „სიურპრიზი“ რომ გამიკეთე, (ე. ი. ზღანოვიჩის შავი კენჭი რათ მიეცია) დამეთანხმები და ვინ იცის, რა დამიჯდება. ყველაფერს მალე გაიგებ და მერე გეწყინება. ხომ იცე ჩემი სული ზეგში აქვს? (ზღანოვიჩისო) არ უნდა გექნა ჩემი სიყვარულისთვის...“ გესმით, როგორ კანკალებს კაცი მხოლოდ მისთვის, რომ ზღანოვიჩის მისმა რწმუნებულმა შავი კენჭი მისცა. მას ის კი არ სწყინს, რომ შავი კენჭი მიეცა, არამედ ის, რომ მისი სული ზღანოვიჩის ხელში ყოფილა და აი სწორედ ამ სულის ამოხდისა ეშინიან მიქელ-გაბრიელისაგან. შავი კენჭისთვის რომ კაცს სული ამოხდეს, ამაზე მეტი შეუბრალებლობა აღარ იქნება. შავი კენჭისთვის ზღანოვიჩი მართლაც

\*) იხ. „კვალი“ № 18.

ხდის სულს ქიათურას, ხოლო ამავე დროს კი წითელ ბალათში გამოწყობილი ასე მართლულობს თავს: „განა სასაცილო არ არის არწმუნებდენ „შავიქვის“ საზოგადოებას, ვინც ვრებს, რომ ზღანოვიჩმა მათ გადააცვათ კისერზე დასახრობი ბაწარი, როდესაც ამ ბაწარს თვით წვერები ვერა გრძნობენო“ \*).

იქნებ „სულის ამოხდა“ ზღანოვიჩის სიკვდილი არა გონია? მაშ კითხოს ზემოხსენებულ „მგრძნობიარე“ წვერს!

\* \* \*

შეგდამის გასწორება. „კვალის“ მე-17 №-ში ბ-ნ ქვარია-ნის „ვიზიტის“ გამო მე ვწერდი: „კიდევ ერთი ნაკავი მოემატა ჩვენს ლიტერატურასმეთქი“, უნდა ყოფილიყო „კიდევ ერთი განძი...“ და სხვა. დანარჩენს, გთხოვთ, თქვენ თვითონ მიმიხვდეთ.

რიგოლეტო.

### მ ი ძ ა

(მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან).

#### I

შემოდგომის უხალისო დღე იყო. დილიდან დაწყებული ასხამდა წვრილი, ცივი წვიმა. დიდ სოფელ ნანეულში სრული სიჩუმე სუფევდა, და მხოლოდ ბუხრის მიღებიდან და სახლის სახურავებიდან ბლომათ ამომავალი კვამლი ამტკიცებდა, რომ მცხოვრებნი ახლა შინ, სახლებში ისხდნენ და ვინ იცის, იქნება უხაროლათ კიდევაც, რომ ამ შემოდგომის წვიმამ დაასვენა ისინი თავის ოჯახში მძიმე შრომის შემდეგ.

სოფლის ორღობეში გამოჩნდა ნაბდიანი, ყაბალახ ჩამოხურული კაცი. ის მოდიოდა სიფრთხილით, არჩევდა უფრო მშრალ ადგილს ორღობის თითქმის გაუვალ ტალახში, ხტებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, ებლაუჭებოდა ხან ერთსა და ხან მეორე ღობეს და უხტებოდა ისევ შუა გზაზე. ბოლოს ის გაუსწორდა ერთ განაპირა შკერის წნელით შემოღობილ დიდ ეზოს, სადაც ხშირ ხეხილებს და თხმელის ხეებში მოჩანდა ორი, ერთი უფრო დიდი და ახალი და მეორე უმცროსი, ძველი, ისლით დახურული, ფიცრული სახლები, ნალია, ბეღელი და კიდევ რაღაც წვრილმანი შენობები.

მგზავრმა უნებურათ მიიხედა იქითკენ. წვიმამ გადაიღო და მხოლოდ ხეებზე შერჩენილ ყვითელ ფურცლებიდან და სახლის სახურავებიდან სწვეთდა წვიმის კრიალა დიდრონი წვეთები. ნალიის ქვეშ იწვა წითელი, დიდ რქებიანი ხარი და იცოხნიდა; მეორე, შავი ნიკორა, დიდი და მსუქანი ხარი ისის იყო ადგა და რაკი დარწმუნდა, რომ წვიმამ გადაიღო, აპირობდა საძოვრათ გამოსვლას.

მგზავრი შეჩერდა, გადაავლო ხარებს თვალი და თითქმის ხმამაღლა წარმოსთქვა:

— ძალიან ხარებია, სწორეთ რავაიც მინდოდა, იმისა ნაი — და გასწია ქიშკრსაკენ.

— ეი, მაინძელო, მაინძელო! — გაისმა ხმა.

ახალი სახლის კარი გაიღო ქრიალით, და გამოვიდა გარეთ მომცრო ტანის შავწვერა გამხდარი კაცი.

— ვინ იძახის? — გაეხმაურა შავწვერა და გასწია ქიშკრისაკენ, სადაც ნაბდიანი კაცი გრძელი ჯოხით იგერებდა გა-

\*\*) იხ. „ნოვ. ობოზ.“ № 6324. წერილი ზღანოვიჩისა.

წიწმატებულ შავ გამხდარ ძაღლს, რომელიც ხან ერთის მხრიდან ვარდებოდა ყვეით საკბენათ და ხან მეორიდან.

— დეივარვე აქედან, შეუტია შევწვევამ ძაღლს.

— აგი მე ვარ, კოწია, გამარჯობა შენი;—სთქვა მგზავრმა, როცა ძაღლი დაწყნარდა და კუდამოძებულთი გაიქცა შინისკენ,—ერთი გადმეიარე ჩემსას, საქმე მაქ შენთან მოსალაპარაკებელი, რაც შეიძლება მალე მოდი,—განაგრძო მან, —თლა გაწუნწყული ვარ, ქალაქიდან მოვალ, ერთი თუთუნის ცეხლი მომეცი, თუ კაცი ხარ.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ამ წამში, ბატონო, მარა ჩამობანდი, ხელი გეითბე.

— არა, მადლობელი ვარ, არ შემიძლია, მეჩქარება ძაღლიანი. კოწია გაჩქარებული წავიდა სახლისაკენ და რამოდენიმე წუთის შემდეგ გამოუტანა ბატარა მუგუზალი. ნაბიანი-მა კაცმა ამოიღო ჩიბუხი, ჩაყარა შიგ თამბაქო, მოუსწორა პირი, მერმე გამოართვა კოწიას მუგუზალი, მოუკიდა ჩიბუხს ცეცხლი და მუგუზალი ისევ უკან დაუბრუნა:—აგაშენოს ღმერთმა! აბა მოხვალ რაღა,—უთხრა მან და საჩქაროთ წავიდა.

სახლში ამ დროს შუაზე გაჩადებულ ცეცხლის პირას ისხდენ: ერთ მხარეს კოწიას მოხუცებული, მაგრამ ჯერ კიდევ ყოჩალი დედა—მზეხა და წინდის ქსოვდა; მეორე მხარეს—კოწიას ახალგაზდა ცოლი, რომელსაც ხელში პაწია ბავშვი ეჭირა. შამოვიდა თუ არა კოწია სახლში, მაშინათვე დაეკითხნენ ორივენი:

— რა ამბავია, კოწია, ვინ იყო?

— ვინ იყო, ბიჭო, იი კაცი, ან რა უნდოდა?

— სიმონაი გოგოლიძე იყო, გადმეიარე ელანძე, საქმე მაქო. ქრისტინე, დააწინე მაი ბაღანაი და წინდაი და ქალაბნებო მომიტანე, ოჯინჯალაზეა ჩამოკიდული ძველ სახლში,— მიუბრუნდა ის ახალგაზდა ქალს. თითონ კი ჩამოიხსნა ამოწყული და უკან წელში გამაგრებული ჩოხის კალთები, გაისწორა კანკებზე ამოგორგლილი შარვლის ტოტები, აიღო ნაფოტი, დაიხარა და ფეხებზე ტალახის წმენდა დაიწყო. ქრისტინემ მხიარულათ გადახედა ქმარს, აიყვანა ხელში ბავში და მივიდა მასთან.

— აბა ერთი შეხედე, კოწია, რავა გიცინის მაროიე, გცნობილობს; აგი მოგიტანს წინდებს. მაგრამ შეხედა თუ არა ქმარს, შეატყო, რომ მას რაღაც აწუხებდა და ხუმრობის დრო არ იყო. ის საჩქაროთ მობრუნდა, ფრთხილათ დააწვინა ბავშვი იქვე ტახტზე ბალიშებზე და სწრაფათ მოუბრუნინა ფეხსაცმელი მეორე სახლიდან. კოწია ჩამოჯდა ცეცხლის პირას ჯორკოზე და დაიწყო ფეხზე ჩაცმა.

— რა უნდოდა გოგოლაძეს ჩვენგან, ნეტაი რა საქმე უნდა ჰქონდეს?

— რა ვიცი, დესპინეს სიძეა და... დაღონებულათ უბასუხა კოწიამ.

— დესპინეს სიძე?... განიმეორა ზებ-მ,—ვაი თუ ვალს გვთხოვს! მან გამოიძრო ხელიდან ძაფი, გაუკეთა წინდის ჩხირი საქსოვში, დადგა იქვე გვერდით მიწაზე და შეუკეთა ცეცხლი.

— ეჰ, რა ვიცი, მივალ აგია და ქე შევიტყობ,—ცოტა არ იყოს წყენით უბასუხა კოწიამ, რადგანაც თვითონაც იმასვე ფიქრობდა.

— მართლა, ბიჭო, ქე დამავიწყდა: წაღანაი კიდევ იყო პეტრიეი, ნამდვილი პასუხი მომეცით, უშობთ თუ არა მაგ ქალს ძიძათო, თვარა სხვას მოგნახავო. პომპოლიკი კაცია თურმე, თვეში თუძანს იძლევა და საჩუქარი კიდევ სხვაი იქნებაო.— მზეხა ცოტათი შეჩერდა და გადახედა რძალს, რომელიც ახ-

ლა ბატარა ბავშვს საგებებს უცვლიდა და ალერსიანათ ეუბნებოდა: „აღუ, აღუ, მაროია, ბაბაი ახლავე მუა, არ იტირო, აი, აი არ იტირო, ნანინას გეტყვი, ჩემო ნენაო“—თანაც დედამთილის და ქმრის ლაპარაკს ყურს უგდებდა როცა ვა-მოუცვალა საგებები, ჩააწვინა ბავში წითელ თათრულ აკვანში, გადააკრა არტახები, გადაახურა საბანი და, ისის იყო ძუძუ უნდა მოეწოვებინა, გაიგონა დედამთილის უკანასკნელი სიტყვები.

— კაი, ჩემი ბატონო, რა დაგემართა აწი, რავა, ამ ბაღანას ხომ არ გადავაგდებ, ძიძათ რომ წავიდე. პომპოლიკია თუ რაცხაა, რუსებში წასვლა არ შემიძლია, ხომ გითხარი.

— შეგქამენ რუსები, არ იცი თვარა. — ანთო უცებ მზეხა,—შენს უარესი იყო ეგერ, ელპიტეი, რომ გააკეთა ოჯახი მისი ნაძიძაობით! ეგერ რა ოდა დეიდგეს, ხედავ!

— კაი, ჩემი ნენაი, ერთი ნუ გვეიმწარებთ ამ ორი დღეის სიცოცხლეს, დაეთხუე მაგ ქალს, იყოს შინ. მივალ აბა ეხლა.

— ვუი, შენ უბედურო, რაფერ გლახა ხარ, რაფერ ჩოფანო ხარ, რავაც უნდა, ისე გათამაშებს მაი ქალი, მიაძახა მიმავალ შვილს მზეხამ და აიღო წინდა ხელში საქსოვათ.

— ჩოფანოა თუ რაცხაა, შენი შვილი მაგია და მაინც რა დაგემართა, ბატონო, რავაც სიტყვა, მაშინათვე ჩოფანო, გლახა. რაცხაა, ახლა ხომ არაკაცი გამოგვიცვლის, წყენით მიუგო დედამთილს ქრისტინემ.—არაფერი არ მიკლავს ისე გულს, რავაც მაი სიტყვები,—განაგრძო მან; რაითაა ახლა მაინც და მაინც ჩოფანო კოწიე: მე შენ გითხრა, სხვაზე ნაკლებს მუშაობს, თუ რაი?


— ძალიანი ვაჟკაცია სწორეთ, შენ გადუალს ვერაფერს იზამს, რა მუშაა ერთი მითხარი, ყოლი კაცმა, აგერ გეიხედე, ყოლი კაცმა ოდა დეიდგა და მე ჩემ სიცოცხლეში ამ ფუტიანი სახლიდან ვერ გამოვედი; მარა, ეჰ! რავაც გინდებიან, ისე ქენით,—დაცხრა ერთბაშათ მზეხა.—თქვენდა ვჩივი, თვარა მე ორი დღის სიცოცხლე დამრჩა, ღმერთი ჩემი გოგეის ნახვას მომასწრობდეს, მეტი აფერი მინდა...—გოგეი მისი უმცროსი შვილი იყო, რომელიც ამ ორი წლის წინეთ სალდათათ წაიყვანეს. ამას შემდეგ მზეხა, როგორც კი მოაგონდებოდა მისი „ბაღანაი“, სულ ტიროდა. ახლაც, მოაგონდა თუ არა, მაშინვე ცრემლები ლაპა-ღუბით წამოუვიდა თვალებიდან; მან ისევ გადადგა წინდა, ამოწია კაბის კალთა და დაიწყო თვალებისა და ცხვირის წმენდა.

ქრისტინე ნელ-ნელა არწევდა აკვანს და, როცა დედამთილი ატირდა, სიბრაღულით გადახედა მას და ალერსიანათ უთხრა:

— კაი ბატონო, ნუ ტირი, ღმერთი ყორიფელ კაის მოგასწრობს, მარა იგი მწყინობს, რომ, შენ თვითონ იცი, რა ძნელია შვილის მოშორება; შენი, ღვთის მადლით მოწიფული ვაჟკაცია, იმას რა უჭირს და მე რაფერ დავტიო აი ჩჩვილი ბაღანაი, მერე კიდევ კოწიე და... აჰ, არ შემიძლია, არ შემიძლია, დაღონებულათ გაიქნია მან თავი, წამოაწია ასადგომათ, მაგრამ აღარ ადგა და დააშტერდა ცეცხლს.

მზეხა ცოტა არ იყოს შეკრთა ამ სიტყვების გაგონებაზე, ერთ წუთს ის იჯდა გაჩუმებული და შესცქეროდა თავის რძალს. შემდეგ მისმა გამხდარმა ნამტირალემა სახემ რაღაც კერპი შეუბრალებელი გამომეტყველება მიიღო, ის ადგა, მივიდა რძალთან, დაადგა მხარზე ხელი და დამშვიდებულათ, მაგრამ ცივათ უთხრა.

— შენი ლაპარაკი არაა გონიერი ლაპარაკი, ქრისტინე; მე იმიზე ვჩივი, კოწიეი გლახაა და ჩოფანომეტი რომ, შენ



ამისთანა სიტყვებს რომ გაიგონებს, დნება კაცი და იკარგება. ასე იყო შარშან, ძროხა რომ არ დააკლიე: „ამდენი ხანი გვარჩინა, კოწია, მაგის რძით და ყველით გვედგა სული, ეგება მორჩესო“. აბა რა მოარჩინდა ჩაზამთრებზე ბერ, გამხმარ ძროხას? მოკტა და გაიარა ოხრათ. ასე იყო შარშანწინაც, მამა შენის თამასუქი რომ დაახვეიე, „საცოდვავია, ნუ გვინდა იმისი ნაცოდვავიო და შეირჩინა მგზითში დაპირებული ოცდაათი მანეთი; რეიზა, ერთი მითხარი, რეიზა უნდა შეირჩინოს? აი ყველაი ოჯახის ზარალია, ახლა აგი ვაღლიც აღარ გვექნებოდა. ჯერ ოჯახის სარგებლობა უნდა გახსოვდეს და შენ კი იძახი ბლანას და კოწიას ვერ დავტყვობო, ოჯახი აზრდაც არ მოგსლია თავში. ხუთი შეილი გავზარდე: არც კოჭლია, არც ბრუციანი არც ერთი, და შენს უარესათ გავზრდი მე ბლანას? ძროხა კაი მეწველე გყავს, „საწოვარას“ ქე მძღვეს ეგერ ელბიტე, ჩემს გოგოს რას ატოლებ მავას, მე შენ გეტყვი,—მზეხა გასწორდა ერთბაშით წელში და აიმაღლა ხმა,—მე შენ გეტყვი, მაროიეი ჩხუბში არ წაიყვანონ. გოგიას სულ თოფი აქ ხელში, თოფი, გეიგონე? და რა წამში რა დიემართება, არ ვიცი!—ამ სიტყვებით ის საჩქაროთ მოტრიალდა და გავიდა გარეთ.

ქრისტინე კი იჯდა დაღონებული და შესცქეროდა მიმქრალ ცეცხლს. ის გრძობდა დედამთილის საყვედურის სი მართლეს. მართლაც, მან შარშან ოჯახს ზარალი მისცა, ძროხა რომ არ დააკვლია და იმითაც, რომ თამასუქი დაახვეინა. ახლაც მისი ნაძიძაობი დიდი შეღავათი იქნებოდა ოჯახისათვის: ვალს გაისტუმრებდენ და ფული კიდევ დარჩებოდა ოდის საძირკვლების საყიდლოთ; „ბლანაის“ გაზდაც კი შეუძლია დედამთილს, აკი გაზარდეს „საწოვარაით“ ელბიტეს ბლანაი. მართალია, რაცხა გლახა კია, თავდიდი და ფეხებ მონგრეული, მარა ისე დეიბადაო. „ყველაი აგი მართალია, მარა გული რომ არ მიშობა მე უბედურს“.—წარმოსთქვა მან თითქმის ხმამაღლა და თვალებიდან წელიწადი წამოუვიდა ცრემლები. მას შეებრაღა თავის თავი, რომ ამნაირ გაჭირვებაში ჩავარდა და ამ მწარე ფიქრებმა გამოიწვია მის გულში კიდევ უფრო მწარე მოგონებანი. მან წარმოიდგინა თავისი ბავშვობა მამის სახლში, გაახსენდა დედინაცვალი და მუდამ ციებით ავთამყოფნი დაძმები, საშინელი სიღარიბე, სიტიტვლე. თერთმეტი წლის რომ გახდა, ქრისტინე გააბარეს მეზობელი აზნაურიშვილისას, მარა რა ცხოვრება იყო ის ცხოვრება! შინ თუმცა სულ მშვიერი იყო, არავინ სცემდა მაინც. ერთი წლის მეტი ვეღარ გასძლო მან „მოზარებულათ“ ყოფნა და დაბრუნდა შინ, სადაც ეხმარებოდა დედინაცვალს ოჯახობაში, თუმცა საოჯახო დიდი არაფერი ჰქონდათ; საქმე ერთისთვ საც კოტა იყო: ძროხა იმათ არ ებადათ და ხარი, მხოლოდ ერთი გამხდარი თხა და რამოდენიმე ქათამი შეადგენდა მთელ იმათ ავლადიდებს. სცხოვრებდენ ისინი ერთ პატარა ფარიანკალა ფაცხაში. იმათი საბანი და ლეიბი სრულიათ გაშავებული „გადიდგნილი“ ზამბის კონკები და ქილობის ნაგლეჯები იყო. „იგინს ამისანა დარბაზი არც კი მოსიზრმებიათ“, გაიფიქრა მან გულში და მიიხედ-მოიხედა ირგვლივ. ასე უფერულათ მიდიოდა მისი ცხოვრება მამის სახლში.

როცა ჩვიდმეტი წლის გახდა, ხომ მთლათ ტვირთათ და აწვა დედ-მამას კისერზე სარჩენათ. გასათხოვარი ქალის მთლათ ტიტვლათ ყოფნა არ შეიძლებოდა. უყიდეს წულა, წითელი, დიდრონ ყვავილებიანი ჩითის კაბა, ჩითის ცახოცი და საყდარზე გამოიყვანეს. იქ ნახა პირველათ მზეხამ, რომელიც ამ დროს სტუმრათ იყო თავის მულთან რამოდენიმე დღით ამოსული ამ სოფელში, მოეწონა ქრისტინე და უთხრა თავის

მულს: „მათხონიე მაი ციციი ჩემი კოწიეზაო“ ასე უთხრა მზეხას მულმა მართამ ქრისტინეს მამას, როცა მეორე დღეს შუამავლათ მოვიდა მასთან.

რამდენიმე კვირის შემდეგ დანიშნეს ქრისტინეს ქრისტინეს ბაზე ქრისტინეს არც კი შეუხედავს საქმროსათვის. ხედავდა მხოლოდ მის მომცრო ტანს, შავ თხელ წვერს და კოტა არ იყოს ეოცებოდა, რადგანაც საქმროს ის ყოველთვის უწვეროს, მაღალ წულა-მესტებიანს, წელში ფიშტოებ გარქობილ, ჩაქურათ გამოწყობილს წარმოიდგენდა ხოლმე და ამას კი წულეებიდან თეთრი შალის წინდები უჩანდა და შავ ღვედგა-დაკრული შავი გრძელი ჩოხა ეცვა ტანზე. ეს არ მოეწონა მაშინ ქრისტინეს და უნდოდა, პირზე შეეხედა, მაგრამ სი-რცხვილით ვერ გაბედა, გარეთ გავარდა და მეზობლისას წავიდა. როცა შინ დაბრუნდა, სტუმრები აღარ დაუხვდა. დედინაცვალმა საქმროს დატოვებული ვერცხლის ბექედი და ოქროს „ბროშკა“ მისცა. იმ დღიდან შეუდგენ მზითვეის მზადებას.

მართა ერთმა ღმერთმა იცის, რა ზნეობრივი ტანჯვა იყო ქრისტინესთვის ეს მზითვეის მზადება. ერთათერთი მათი მარჩენალი თხა გაყიდეს ჩითის საყიდლოთ, რომელიც ვადააკრეს ერთათერთ კოტათ თუ ბევრათ მთელ საბანს და დედინაცვლის ნაშითვ ბუმბულს, რომელზედაც წვებოდენ ბავშვები ციების დროს. მერე ზამთარში ავთამყოფი ბლანები ქილობზე იწვენ და მქადის ანაბარა დარჩენ. „ეეჰ! უკეთესია არ გეინსენოს კაცმა ყველაი“, იფიქრა მან გულის ტკივილით. მერმე მოიყვანეს აქ. მაშინ ძველ სახლში სცხოვრებდენ. მხოლოდ აქ შეხედა მან კოწიას და გული ჩასწყდა. ნუ თუ ეს გამხდარი ოცდაათი წლის კაცი, რომლის თვალე-ბში რაღაც უსაზღვრო მორჩილება და შიში იხატებოდა, მისი ქმარი იყო?

მართლაც, ქრისტინე მალე მიხვდა, რომ უხასიათო კოწია სრული მონა იყო თავის დედის და ამან კიდევ უფრო ატკინა გული. ის მთელი კვირის განმავლობაში იჯდა კუთხეში ტახტზე და რაღაც გამოურკვეველი მოკრძალებით შესცქეროდა ყველას და ყველაფერს.

ქმარი, როცა დედა არ იყო სახლში, გაუბედავთ და მოკრძალებით ეალერსებოდა მას, უკოცნიდა ხელებს; მაგრამ თუ დედა იყო სახლში, მაშინ არც კი უყურებდა მას. ერთი კვირის შემდეგ მზეხამ, ადგა თუ არა დილა ადრიანათ ლოგინიდან, გააღვიძა ქრისტინე და ხუმრობის კილოთი მტკიცეთ უთხრა:

— აბა, აწი გეყოფა ქალბატონობა, დღეს ღომი უნდა გავაწყოთ, წადი, გამეიტანე ღომი ნალიეიდან, გორიციი ეგერაა გარეთ.

ქრისტინე საჩქაროთ ადგა და უნდოდა წასულიყო, მაგრამ კოწიამ არ გაუშვა, თითონ გამოიტანა ღომი და სამივემ ერთად გააწყვეს. ამას შემდეგ ქრისტინე, ამ ხუთი წლის განმავლობაში, რაც შეეძლო, არ ზოგავდა ძალ-ღონეს და დაულალავათ მუშაობდა. მისი მუყაითობა მართლაც დაეტყო ოჯახს და ერთი წლის შემდეგ დაიდგეს ეს ახალი სახლი, ორი ძროხა გაზარდეს შინ, ღორებს და ქათმებს ხომ ეს ორი წელიწადი ყიდიან კიდევაც. ბოლოს შარშან იყიდეს ხარებიც, იმისთვის აიღეს ვალი, მაგრამ მარტში ხომ სიმინდს გაყიდინ და გადაიხდიან. წრეულს ხუთი მანეთის აბრეშუმიც კი აკეთეს. კოწია კი შეუყვარდა მას სულით და გულით, როცა მიხვდა, რომ მას, ამ გარეგანათ უფერულ და ულაზათო კაცს, გული კეთილი და პატიოსანი ჰქონდა; და თუ ხანდისხან დედას ურჩობას ვერ უბედავდა და მისი აზრით რამე ურიგო საქმეს სჩადიოდა, უსიტყვოთ მაგრამ სასტიკათ იტანჯებოდა.

ამიტომ ქრისტინე ყოველთვის პირველი უწევდა ხოლმე დედამთილს წინააღმდეგობას. ქმარიც მაშინ მის მხარეს იჭერდა და სიყვარულით და მადლობის თვლით შესცქეროდა თავის „მარგალიტ“ ქრისტინეს. ამისთვის კიცხავდა ხშირათ მზეხა კოწიას, „ჩოფანო ხარ, ქალი გათამაშებს, რავაც უნდაო“. — კოწიას ეს სიტყვები არაფრათ არ მიიჩნდა და ყურადღებასაც არ აქცევდა, რადგანაც იმისთვის ისეთი სას ხარულო არაფერი იყო, როცა ქრისტინე სამართლიანობას და გულკეთილობას იჩენდა. ეს ბევრჯერ უთქვამს მას ქრისტინესთვის და თუმცა მას სჯეროდა ქმრის სიტყვები, მაინც სწყინდა მისი სიჩუმე, „ვინ თუ ეთანხმებოდეს დედასო“. ამას გარდა დედამთილის სიტყვები კი სწყინდა უფრო იმიტომ, რომ, მას შემდეგ რაც ის დარწმუნდა კოწიას სულის და გულის სიკეთეში, გარგნათაც ლამაზი ეჩვენებოდა ის და სწყინდა და უკვირდა, რომ სხვები და ნამეტნავათ დედა ვერ ხედავდნენ მის ღირსებებს. დედამთილის ამნაირი სიტყვები ყოველთვის აქცევდნენ მის ყურადღებას კოწიას გარგნობაზე და მაშინ ძალა-უნებურად თითონაც ატყობინებდა, რომ კოწია ვერ იყო ვაჟკაცური შესახედაობის და ხასიათის პატრონი კაცი და ეს გრძნობა უნებურათ აშინებდა მას.

— „აჰ, ეს ვალი რომ არ გვქონდეს, ახლა ამ ძიძობაზე ლაპარაკიც აღარ იქნებოდა, ამოიხსრა მან.“

ოთხ წელიწადს ქრისტინეს შვილი არ ყოლია. დედამთილი ხშირათ უსაყვედურებდა ამისთვის და ეტყოდა ხოლმე: „ერთი შვილი ქე ამომიგდეს, რა ქალი ხარ შენო“. ქრისტინე ამ შემთხვევაში ყოველთვის გაჩუმებული იყო, თითონაც გრძნობდა თავის დანაშაულობას და სამაგიეროთ ცდილობდა დედამთილისთვის ესამოვნებია და მუდამ ზრუნავდა მისთვის დედამთილიც აფასებდა ქრისტინეს ამგვარ საქციელს და თუ ხანდისხან უსამოვნო ლაპარაკი მოუვიდოდათ, ეს არ სწყვეტდა მათ შორის საზოგადოთ კეთილგანწყობილების კავშირს.

მეხუთე წელიწადზე მიეცა მას შვილი. რა სიხარული იყო იმათსა, როცა ქრისტინე დაორსულდა, ენა ვერ გამოსთქვამს. მზეხა დარწმუნებული იყო, რომ „ბიჭი დეიბადებოდა“. ყოველ კვირაში „მარჩიელთან“ დადიოდა, ულოცავდა ქრისტინეს მუცელზე, მარა მაინც „ციცაი დეიბადა“.

— „მართალია საყვარელი და კაი ციცი კია, მარა მაინც სხვისი ნაცარიო, — ამბობდა მზეხა. — რა სასიხარულოა ციციას დაბადება, ბიჭი კი ოჯახის ბურჯიაო.“

— რახან ციციი მომცა ღმერთმა, აწი ბიჭსაც კი მომცემს, დაამედებდა კოწია დედას, როცა ის მოყვებოდა გაუთავებელ ბუზღუნს და შეხედავდა ქრისტინეს სიყვარულით გაცინებული. ქრისტინეს ახლაც ღიმილი მოუვიდა სახეზე ამ ლაპარაკის მოგონებაზე და მწარე ფიქრების მაგივრათ ბედნიერება გამოეხატა ზედ. მან საჩქაროთ მოიწმინდა ცრემლიანი თვალები და თითქმის ხმამაღლა დაილაპარაკა:

— ბედნიერი ქალი ვარ, ბედნიერი, მე და ჩემმა ღმერთმა, ქმარ-შვილით ბედნიერი. მოუთმენელის სიყვარულით გადახადა მან ფრთხილად მძინარე ბავშვს პირსაფარი და სიყვარულით აკოცა ნაზად ფუნთუშა ლოყაზედ, მერმე ცოტათი ასწია თავი ზევით და დიდხანს უცქეროდა შვილს ღიმილით და თანაც მისი ტუჩები ათასნაირ სიყვარულის სიტყვებს ჩურჩულობდნენ: — არა, არა, არ დაგტიებ, ჩემო ნენავ, ჩემო პაწიწკალავ, ჩემო ლამაზო, ჩემო ცხოვრებავ... მაგრამ ამ დროს თითქო ბავშვი იგრძნო, რომ დედა ვერ შეასრულებდა თავის დაპირებას, ერთბაშათ შემფოთდა და ხმამაღლა შეიტერა. ქრისტინემ მაშინვე ჩაუდვა ძუძუ პირში და ჩააჩუმა შვილი. დაიძინა თუ არა ისევ ბავშვი, ქრისტინე ადგა ფრთხილათ, მისწია აკვანი გამსტვენ სუფთა ქილობით და-

გებულ ტანტისაკენ და ისევ ისე მხიარულის ღიმილით გამობრუნდა, გაასწორა ცეცხლი, ამოიწია კაბის კალთები, გაიმაგრა წელში, მოიტანა კუთხიდან ქვაბი, ჩაახანა წიგნწიგნო, შამოჰკიდა ცეცხლზე და დაიწყო სახლის მთლიან მოლოცვა. ყველაფერს მხიარულათ და ცოცხლათ აკეთებდა, ხშირათ იხედებოდა ის შვილისაკენ სიყვარულით და შავი თვალები ბედნიერებით უბრწყინავდნენ მას.

ის გაჩერდა და მიიხედ-მოიხედა ირგვლივ; ღია კარებიდგან დაინახა ნაჩაღვეიდან დაბრუნებული საქონელი და მის გულს კიდევ მიემატა სიხარული. მას დღეს რაღაც განსაკუთრებით უყვარდა ყველაფერი და განსაკუთრებით ახარებდა ქმარ-შვილი და ოჯახი. შემდეგ გამობრუნდა, ჩამოიღო საკარულიდან ჯოხი, მიაყუდა აკვანს\*), ჩაიცვა ოჩაფებები, აიღო თუნგები და ისის იყო უნდა გამოსულიყო გარეთ წყლის მოსატანად, რომ განის კარს კრუსუნით და ოხვრით მოადგა მზეხა, მხარზე ფიჩხის დიდი ტვირთით.

— რავა, ბატონო, მე ვერ მევიტანდი შეშას, ამხელა ქვირთი რომ მუათრიე? უთხრა ქრისტინემ დედამთილს, და ისევ ისე ბედნიერის დედის ღიმილით, თითქო მათ შორის არაფერი უსამოვნობა არ მომხდარიყოს, საჩქაროთ მიეშველა ტვირთის ჩამოღებაზე. ის დარწმუნებული იყო, რომ ქმარი ეხლაც ამ შემთხვევაში მის მხარეს დაიჭერს და აღარ მოსდიოდა გული დედამთილზე.

— აფერია, შეშა ქე მევიტანე მე, შენ ძროხები მოწველე და ვახშამი მეიკითხე. ბიჭიც ქე მევიდა აგერ. მართლაც, ამ დროს კოწიაც შემოვიდა სახლში. მაგრამ შეხედეს თუ არა მის დაღონებულ სახეს, ჩაცვივულ თვალებს, ორივენი მიხედნენ, რომ გოგოლაძემ ის ვალის სათხოვრად იხმო და ორივეს სახე უცებ შეეცვალა. ქრისტინე გაფითრდა, მოცინარე თვალები უცებ უზომო მწუხარებით და ნადველით ავესო. მზეხას კი რაღაც უკვიხი, მწარე დამცინავი ღიმილი დაეტყო. ერთხანს ყველანი დაჩუმებული იყვნენ. კოწია თავჩაღუნული, როგორც შამოვიდა, გაჩერდა და გაუნძრევლათ იდგა კარებთან. ქრისტინე და მზეხა კი იდგნენ კუთხეში, სადაც ფიჩხის დიდი გროვა ეყარა. ყველაზე უწინ გამოერკვია მზეხა და დაეკითხა შვილს:

— რაიო, ბიჭო, ფარას თხონილობს?

— ვალს თხონილობს, ხუჩაფათიხა მიშონე, უსიკვდილოთ მჭირიაო, ან ხარები მომყიდეო.

— მერე რა ვქნათ ახლა?

— აფერი არ ვიცი, დაჯდეთ აგერ და ვიფიქროთ, მიუგო დედას კოწიამ, მან გაისწორა თავზე წაკონილი ყაბალახი და ჩამოჯდა ცეცხლის პირას ჯორკოზე, მეორე მხარეს დაჯდა მზეხა, ქრისტინე კი მივიდა აკვანთან, ჩამოჯდა ტანტზე და დაჩუმებული შესცქეროდა ქმარს.

— ეგება წინდაწინ მოგცეს ნაძიძობი სამი თუმანი, ერთი თუმანი ქე გვაქ შინ და გვესტუმრებთ. პეტრიას მიველაპარაკოთ, დიდი ფარა კია, მარა ვინ იცის მდიდარიო და... და რადგანაც კოწია ხმას აღარ იღებდა, ცოტა საჩუმის შემდეგ ისევ შეეკითხა მზეხა:

— შა, რას იტყვი შენ, კოწია?

— რა ვიცი, ნენავ, ქრისტინეს რომ არ უნდა, რა ვქნა! ა, ქრისტინე, რას იტყვი შენ? დაეკითხა კოწია ცოლს. ხმაზე ეტყობოდა, რომ მასაც გადაწყვეტილი ქონდა ახლა გულში ქრისტინეს ძიძათ გაშვება, რადგანაც სხვა ხსნა არსად იყო

\*) გურიაში არის ცრუმორწმუნობა, რომ ძუძუმწოვარი ბავშვმართო არ დაიტოვება სახლში, მაგნე სული დააწვება და დახარჩობს, მათ გრამ საჭიროების დროს ცოტა ხნით შეიძლება ადამიანის მაგივრობი ჯოხმა ვასწიოს.

და მხოლოდ არ იცოდა, როგორ მოეგვარებინა ისე საქმე, რომ ქრისტიანე დაყაბულებულიყო. ის შესჯეროდა ცოლის დაღონებული იმედის თვალით და ელოდა მისგან პასუხს, მაგრამ დედამთილმა აღარ დააცალა პასუხის მიგება.

— რას ჩივი, ბიჭო, რა დროისაა, ქრისტიანს არ უნდაო ამისთანა შემთხვევაზე. კაცი ხარ შენ, თუ რა ხარ? მაგ ქალს რომ დიემოტორილე ასე, რავა, ოჯახზე რეიზა არ ფიქრობთ, სად იშოვნე ოცდაათ მანეთს, ერთი მითხარი, სად?

ბატონო, შენი ქირიმე, კოწიავე, გეხვეწები, ნუ გამწირავთ, ნუ მომაცილებთ ამ ბაღანას,—ნელის, მაგრამ აკანკალებულის ხმით მიმართა ქრისტიანემ დედამთილს და ქმარს, — თუ მეტი საშველი არაა, გავყილოთ ხარები, რასაც ამდენ ხანს ვმუშაობდი, ხუთ იმდენს... მან ვეღარ დაამთავრა თავისი აზრის გამოთქმა, რადგანაც ამ დროს თავხარდაცემული ვით წამოვარდნენ კოწიაც და მზეხაც.

— რა თქვი შენ უბედურო მაი, თლა გინდა ოჯახი და აქციო, რა თქვი აი, ხარები გავყილოთო, რავა, მოსახლე კაცი ამისანა დროზე ხარებს გაყიდის? სული თუ გვიდგია ჩვენ, ხარებით გვიდგია, და რა თქვი აი, რა თქვი ხარები გავყილოთო, რომელი ოჯახის ქალი იტყვის ამას? ყვიროდა გაკაპასებული მზეხა.

თქვა თუ არა ქრისტიანემ, მაშინვე იგრძნო, რომ რალაც საშინელი სიტყვები თქვა. მან კარგათ იცოდა, რა არის გლეხისთვის ოჯახში ხარები, მაგრამ წყალწაღებული კაცი ხავს ეჭიდებოდაო, იმანაც მიმართა, თუმცა სრულიათ უიმედოთ, იმედის ხავს და ხავსმა არ შეიმთავრა ის. იმან კიდევ უფრო დახარა ძირს თავი და მწარე ქვითინი წასქდა.

კოწია კი იღვა გაკვირვებული და სასტიკათ შესხერებოდა თავის ცოლს; ის ვერ მიმხვდარიყო, თუ რად ეძინებოდა ქრისტიანს ძიძათ წასვლა. ბათომი ახლოა, ერთი წელიწადი მალე გაივლის, თითონაც ჩავა ხოლმე ხშირათ, ბავშვის ჩაყვანაც კი შეიძლება ხანდისხან. რაც შეეხება ხარების გაყიდვას, ეს სწორეთ წარმოუდგენელი იყო მისთვის და უკვირდა, როგორ გამოთქვა ქრისტიანემ ამისთანა სიტყვები. „განა ხარების გაყიდვა შესაძლებელია მოსახლე კაციზე?“ თუ ქრისტიანეს დაავიწყდა, რა არის უხაროთ ცხოვრება? კოწია სრულიათ ეთანხმებოდა ამ შემთხვევაში დედას და მისი მხარე ეჭირა, ცოლის გულსაკლავი ქვითინი სრულიათაც არ იწვევდა ეხლა მის გულში სიბრაღულს და თანაგრძნობას.

ნ. ნაკაშიძისა

(შემდეგი იქნება)

### საჭიროა თუ არა კვირა დღეს დასვენება?

(წერილი რედაქციის მიმართ).

ამ ჩვენს კითხვას, რასაკვირვებია, ექვს ახირებულათ ჩათვლის. ექვსამ იცის, რომ უფრო ცოცხალ ქმნილებას დასვენება იმდენათვე უჭირვება, რამდენათვე სმა-ჭამა, ჭიკრი, ძილი, ეს „ქუჩურებსაც“ ძალიან კარგათ ესმისთ, და თავის ცხენებს დასვენებას არ აკლებენ. ეს საკითხი მხოლოდ ჩვენი რედაქციების და სტამბებისთვის არის გადაუწყვეტილი ჯერ. იმათ გონათ, რომ ასოთამწეობებს და მბეჭდავებს შეუძლიათ აიტანონ უფრო დღე და დამ უსვენებელი მუშაობა, რომ მათთვის შეტია კვირა დღით დასვენება. ამ ორი წლის წინეთ თვითონ შინაგან საქმეთა სამინისტრო შეეკითხა პერიოდულ გამთქმვათ რედაქციებს—გსურთ თუ არა კვირა დღეს შეჩეროთ სტამბებში მუშაობა. მათ ჯერ ამ კითხვასზე პასუხი არ მიუციათ და წინადადვით დაუსვენებელი მუშაობენ სტამბის მუშებს.

ექვს ადვალთ წარმოდგენს, რა გვარი სამუშაოა ეს. ამ ბირობებიც რომ მსუბუქობაში არ მივიდეთ, რომელიც დღეს ჩვენს სტამბებში არსებობს (სიციფე, სარდაფის დამხალი, სარდაფის სინელე), მანც ეს მუშაობა მითხვავს ძალ-ღონის სრულიად ხარჯვას, ნერვებს საცრათ ასუსტებს და აღმანის ძლიან დაღვას. ერთი რომ საქმე ვადაინა და სინქარეს ითხვავს (ხშირათ ტელეგრაფების, ახალი ამბების და სხვა ჩასამტკებელ მასალის ასაწეობათ ასოთამწეობები განუწყვეტლოვ 18 საათს მუშაობენ); მეორე ის, რომ საქმე სახიფათოა—გამოგრჩა ერთი ასო, ან ერთის მაგიერ მეორე დასვი—მოგრა, იქნება აზრი სრულათ დამახინჯდეს ან მისთანა რამ გამოვიდეს, რომ სულაც არ იყოს აღმანის ეურით გასაცანი. აქ უნდა აკვირდებოდე აზრს, იდეას, სიტყვას და თითოეულ ასოს, თითოეულ წერტილს—განსაკუთრებით უკანასკნელ კარეკტურის სწორების დროს. მთელმა ქვეყანამ უნდა დაგვინოს ან წერებით გასაყვადურდეს ერთი შენი შეცდამისათვის. საჭიროა მუდამ სლათ და ფხიზლათ იყო, შენი უურადლება მუდამ შენს სამუშაოზე უნდა იყოს შეჩერებული განსაკვირვებია, რომ ასეთ ზირობებში მძიმედავთ ელვათ ღონე, უსუსტდებათ ნერვები? განა შესაძლებელია კიდევ იმაზე დახარავი, მიეტყოს თუ არა მათ კვირაში ერთი დღის დასვენება მაინც?

მაგრამ ექვსაზე უფრო საკვირვებელი ის არის, რომ რედაქციების ასეთი უურადლებობა მუშათა მდგომარეობის მიმართ, ვერ აიხსნება მათის საკუთარის ინტერესებითაც კი. ზირობით, თვით რედაქციების ინტერესი მითხვავს კვირა დღით დასვენების დაწესებას მძიმედავთათვის. რა ჯობია? რომ ჯანსლამა მუშამ რიგინათ დაამზადოს საქმელი და გაუგზავნოს მკითხველს კვირაში ექვს დღეს, თუ ის, რომ დაქანტულმა მუშამ რეკომრე მიფოხ-მოფოხოს საქმე და საუქმელი დასურად-დაუთავრებელი კვირაში შვიდ დღე? გაუგზავნოს თუ კი ის ესმით რედაქციებს, რომ დაქანტულ რეპორტორს შეუძლია ავთმეოფის აზრის, დაქანტულ მეორეს—ზოგადი დაღუპოს, —ათ არ ესმას მათ, რომ დაქანტულ ასოთამწეობის ხელშიაც ნომერის გაფუჭებ ადვილია?

მეორე მხრით, განა ცოტა მკითხველი აკლდება ჩვენს გაზეთებს იმით, რომ არც ერთს სტამბის მუშას გაზეთის კითხვის დრო არა აქვს. ნუ თუ ამ მხრათ მაინც არ შეიგნებენ თავის ინტერესებს ჩვენი რედაქციები?

ამ რა უშლის ჩვენს გამომცემლებს შემოიდონ ჩვენშიაც ის, რაც დიდი ხანია სხვა ქვეყნებში შემოღებულია და რასაც საკუბელობის შეტი არა მოაქვს რა? ინგლისში, მაგალითათ, არც ერთს პერიოდულ გამომცემსზე არ მუშაობენ კვირა დღეს და ავირებს ეს განა იქ ურნაღისტიკას ან საზოგადოთ ლიტერატურას?

„ცნობის ფურცელი“ № 2134-ში სწერს ამ კითხვის შესახებ: „თითოეული რედაქცია ცალკე თანხმას ამ ღონისძიების აღსრულები-სი, მხოლოდ საჭიროთ სთვლის, რომ ექვსა გამომცემებმა თანხმობით აიღონ ხელი კვირაობით მუშაობასზე. მამ რაღა უშლის მათ ხელს შეიკრიბონ და ეს საქმე გადასწყვიტონ?“. დიან, რა უშლის გარდა საკუთარი ინტერესების გაუგებრობის და სხვის ინტერესების სრულ უურადლებობისა. და ამ გაუგებრობის, უურადლებობის მისხვერნელი არის მრავალი აღმანის სინცაცხლე და ჯანმრთელობა. იმედია, ახლა მაინც, როდესაც ეს კითხვა თვით გაზეთებში აღიძრა, მალე მოვლეს ბოლო ასეთ მდგომარეობას და საჭირო თანხმობა ჩამოყარდეს ადგილოფრთვ გაზეთებ შორის კვირა დღეობით მუშაობის შეწყვეტის შესახებ.

ასოთამწეობი.

### მთავრობის განკარგულება

ბაქოს გაზეთებში დაბეჭდილია ადგილობრივი გაზეთნატორის დაღვნილება:

„1903 წელს 2 მაისს მე, ბაქოს გუბერნატორმა დ. ა. ოლინკოვმა, განვიხილე საქმე უწესოებათა შესახებ, რომელიც მოხდა ბაქოში 27 აპრილს და კავკასიის მთავარმართებლის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა ძალით გადაწყვიტე: წესრიგის დამრღვევ ყრილობების მოხდენისა და პოლიციის კანონიერ მოთხოვნისა არ შესრულებისათვის დაპატიმრებულ იქნენ:

სამი თვით:

1. მიკირტიჩევი ალაჯან, ქალაქ ბაქოს მცხოვრები; 2. მიკირტიჩევი პელაგია ანტონის ასული, იმისი ცოლი; 3. ვარნოვსკისა ესფირია ვლადიმირის ასული, ქ. ტაგანროგის მცხოვრები; 4. საგავეი მიხეილ ვასილის ძე, ასტრახანის მოქალაქე; 5. კალაშევი იაგორ ოვანესის ძე, ქ. ალექსანდროპოლის მცხოვრები; 6. არუთუნიანი არუთუნ მარტირუზის ძე, ს. კირჩივალის მცხოვრები, ერევნის გუბერნიისა; 7. ბულევის ვასილ ივანეს ძე, ქ. სპასკის მოქალაქე, რიაზანის გუბერნიისა; 8. ასკობანიანი ამაზის პეტროსის ძე, ოსმალეთის ქვეშევრდომი; 9. საფიანი სტეფანე კარაპეტის ძე, ს. ბადრუსის მცხოვრები, განჯის გუბერნიისა და 10. ალოლაშვილი აბრამ ვინაის ძე, ხხალციხის მოქალაქე, ტფილისის გუბერნიისა.

ორი თვით:

11. პაპოვი ანდრია, ქ. ქალაქ შემახის მცხოვრები.

ერთი თვით:

12. ყარამანიანი ტიგრან, ქ. შუშის მცხოვრები; 13. სარქისოვი მიხეილ, ქ. შუშის მცხოვრები; 14. სარქისოვი სუმბათ, ქ. შუშის მცხოვრები; 15. კურაგინი ვასილ, გლეხი ვლადიმირის გუბერნიისა; 16. ჩერნიკოვი მიხეილ ვასილის ძე, ბაქოს მოქალაქე; 17. არუთინიანი სტეფანე არუთუნეს ძე, ერევნის გუბერნიისა; 18. ალექსანდრე სმეტსკი, ტფილისის მცხოვრები; 19. ლუშნიკოვი ალექსი, ვიატკის გუბერნიის გლეხი; 20. ახვერდიანი სტეფანე, ერევნის გუბერნიის მცხოვრები; 21. ლობანოვსკი ივანე მარტინეს ძე, გლეხი ჩერნიგოვის გუბერნიისა; 22. რუდინსკი ივანე იაკობის ძე, შემახის მაზრის სოფ. ნილმელის მალაკანი; 23. ბალავაძე აქსენტი ეპიფანეს ძე, ქუთაისის მაზრის სოფ. კანდრის გლეხი; 24. ფრეიმან-ჰეინრიხ ჰეინრიხოვიჩი, სამარის გუბერნიის სტანიცის სტენოსის გლეხი; 25. მარტივეი ბუკას ოვანესის ძე, შუშის მაზრის მცხოვრები; 26. ამიროვი ბახში აირაპეტის ძე, ჯებრაილის მაზრის მცხოვრები; 27. არუთუნოვი ჯევათ ალექსანდრეს ძე, შუშის მაზრის მცხოვრები; 28. ხახაროვი მესტი, ჯებრაილის მაზრის მცხოვრები; 29. არუთუნოვი ბახში ალექსანდრეს ძე, შუშის მაზრის მცხოვრები; 30. ხაჩატუროვი ალიმ, შუშის მაზრის მცხოვრები; 31. კასპაროვი ავეტის, ჯებრაილის მაზრის მცხოვრები; 32. მურადოვი თეფოს არაქელის ძე, იმავე მაზრის მცხოვრები; 33. არზუმანოვი ფარსადან ოვანესის ძე, იმავე მაზრის მცხოვრები; 34. აივაზოვი სავათი, იმავე მაზრის მცხოვრები; 35. ამიროვი მელქისეც, იმავე მაზრის მცხოვრები; 36. კოუბარიანი ივანე სიმონის ძე, ნახიჩევანის მაზრის მცხოვრები.

სამი კვირით:

37. ოპანიანი გრიგორ ოვანესის ძე, შუშის მაზრის მცხოვრები; 38. დავიდოვი ავეტის, ჯებრაილის მაზრის მცხოვრები 39.

მიხეილიჩენკო ვასილი სერგეის ძე, ვორონეჟის გუბერნიის მცხოვრები; 40. ოპანჯანოვი ალექსანდრე ხაჩატურის ძე, განჯის მაზრის მცხოვრები; 41. სიმონიანი აბრამ ტოტუნის ძე, შუშის მცხოვრები; 42. არაქელოვი არშაკ არაქელის ძე, იმავე ქალაქის მცხოვრები; 43. ყარამოვა ერემია მიკირტიჩის ძე, ს. კილიშენტის მცხოვრები; 44. ამბარცუმოვი ალაბეკ მინასეს ძე, ჯებრაილის მაზრის მცხოვრები; 45. აივაზოვი მელიქსეტი, იმავე სოფლის მცხოვრები; 46. ყარსამოვი მინას მიკირტიჩის ძე, შუშის მაზრის მცხოვრები; 47. შამიურალოვი სვიმონ არაქელის ძე, ჯებრაილის მაზრის მცხოვრები.

დაპატიმრების ვადა უნდა 27 აპრილს 12 საათიდან ჩაითვალოს.

გენერალ-მაიორი ოლინკოვი.

როგორც მთავრობის ოფიციალურ განცხადებით დაბეჭდილი, ტომსკის გუბერნატორის ბრძანებით, 18 მაისს უწესოების მოხდენისათვის ადმინისტრაციული წესით დაუპატიმრებიათ 15 კაცი. დაპატიმრების დრო ორი კვირიდან ორ თვე ნახევრამდეა.

## დეკრეტი.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.)

უზა. 7 მაისი. 6 მაისს, დილის 4 საათზედ, ქალაქის ბაღში ცხრა ტყვიით მოჰკლა ორმა ბოროტ მომქმედმა გუბერნატორი ბოგდანოვიჩი.

მეოთხე საათზე გუბერნატორი ბოგდანოვიჩი მარტო სვირნობდა საქალაქო ბაღში, სადაც ბევრი მოსეირნე ხალხი იყო; გვერდის ხეივანზე გავლის დროს, რომელიც სობორის მხარეს არის, გუბერნატორს დახვდა ორი თუ სამი ბოროტ-განმზრახველი, — სწორედ არ იციან; ერთმა მას თავი დაუკრა და მისცა დაბეჭდილი პაკეთი სხვებმა კი ერთათ რამდენჯერმე რევოლვერი ესროლეს გულში და ზურგში. გუბერნატორი იმავე წამს მოკვდა. ეს ბოროტ-მომქმედება პირველათ ეკლესიის დარაჯმა გაიგო და დაედევნა მკვლელებს, მაგრამ როდესაც მათ რამდენჯერმე რევოლვერი ესროლეს, შეეშინდა და მკვლელები თვალიდან მიეფარნ. მოგროვილმა ხალხმა უსულო გვამი გუბერნატორის სახლში წაასვენა, სადაც დაუყვანებლივ მოვიდნენ მთავრობის წარმომადგენელი. გამოძიება სწარმოებს.

უზა. 8 მაისი. განსვენებულ ბოგდანოვიჩის გვამი ექიმებმა გასქრეს და აღმოჩნდა, რომ ბოროტ მომქმედთ უსროლიათ ზურგში უკვე უსულო გვამისათვის. გულში ორი ტყვია მოჰხვედრია, ფილტვებში და ღვიძლში — ოთხი, კუჭში და ხელში ორი. უკანასკნელ ტყვიებს გარდა სხვები სულ სასიკვდილოა. გამოძიება სწარმოებს. მკვლელები ჯერ ვერ უპოვნიათ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ.ნ. რედაქტორ! უმადრისადაც გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთ „კვადის“ საშუალებით უდრმესი მადლობა გამოუცხადოთ მის მადლ უფადად უსამღვდელოებსა კნისკაპტანს კირიანს ალაგირის ქართული სკოლისათვის საბავშვო ჟურნალ „კვადის“ გამოწერისათვის მთლათ 1903 წ. განმავლობაში.

სამკითხველს გამგე პეტრე მეტრეველი.

დრ. რედ. ნ. იაკ. ალექსანდრე-მესხაევი.  
გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.